# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 ივლისი, 2014 წელი.

№126-127 (7508)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## რიტორიკული კითხვები

# სააკაშვილი რა, წითელი კოჭია?



ქენან ევრენი

**ახლახან თურქეთში გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს თავიანთ ყოფილ პრეზიდენტს, 96 წლის ქენან ევრენს, ვინც 1980 წელს თავის სამშობლოში სამხედრო პუტჩის შემდეგ გაპირველკაცდა...**

ამ დღეებში საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი დააკავეს. იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა სამართალდამცავებთან სათანამშრომლოდ...

საჭიროა ამის მერე თუნდაც ერიხ ჰონეკერის, პინოჩეტის, ბერლუსკონის თუ სხვათა მაგალითების გახსენება?

**ასე ხდება იქ, სადაც მართლაც დემოკრატიაა და კანონი კანონობს!**

ჩვენთან კი..

სააკაშვილი, რა წითელი კოჭია?

**ღმერთმანი, არავისი დაჭერა-გაუბედურებით არა ვარ დაინტერესებული, მაგრამ ჩვენთანაც ხომ უნდა დაპურდეს სამართალი, ჩვენთან, „დემოკრატიის შუქურა“ ქვეყანაში, რომელიც, თავისივე მტკიცებით, სააკაშვილმა აგვიშენა თურმე?**

## ვინ დააბრალა ეს უგულავას?



**არა, იმ ბრალზე კი არ ვამბობთ, გიგი უგულავას რომ წაუყენეს. რამდენად სამართლიანია იგი, ამას გამოძიება და სასამართლო დაადგენენ.**

მე იმას ვკითხულობ, რატომ არის გიგი უგულავა დღესაც ევროსაბჭოს რეგიონთა კონგრესში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, ის გიგი უგულავა, ვინც, ყველამ კარგად ვიცით, ფაქტობრივად, შეუზღუდავი ძალაუფლების დაკარგვის გამო საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე გაბოროტებული ლაფსა და ტალახს არ დაიშურებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის მოსათხვრელად?

იქნებ ამ კითხვაზე გვიპასუხოს იმან, ვინაც ჯერ არს?

**რაო, ხალხი დაილია, თუ უგულავას ხაზინის ხარჯზე „გულაობა“ აკლია?**

რუსლან რუსია



## ერთი ვინმე ალისტრახოსა და მისი კუდების ამბავი

6

## თბილისელი მაფიოზების უფროსი... იგი, ანუ გიგი



### ახალი, მილიონლარიანი ბრალდება - რას ჰყვება ბექაური უგულავაზე

4

9

## ნაციონალი მკვლელები

C.T.PARK

### არჩილ ხომასურიძე:

## ზოგიერთი ჩვენი კოლეგა ჯენაზანის ლექციის მოსასმენად არც კი მოვიდა

7

### რატომ არის სამედიცინო მეცნიერება ცუდ დღეში?

ზოგიერთი ჩემი კოლეგა პაციენტს უნიშნავს წამალს, რომელიც მას არ სჭირდება (ეტყობა, მოქრთამულია ფარმაცევტული კომპანიის მიერ). მეტიც, მაგალითად, ქალს უკეთებენ ოპერაციას, რომელიც მას არ სჭირდება (ჩვენს სფეროს ვგულისხმობ). კომერციალიზაციის გამოვლინება ჰიპერდიაგნოსტიკაა, ანუ არ სჭირდება ამდენი ანალიზი, გამოკვლევა და მაინც აიძულებენ...

## კიდევ ერთი სიბეცე და უყაირათობა

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

2



# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ ინფორმაცია

## ჩვენთვის მთავარია მოაზროვნე არმია



არ არსებობს იმაზე ღირსეული საქმე, ვიდრე გერქვას ქართული შეიარაღებული ძალების ოფიცერი, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე უმცროს ოფიცერთა სკოლის გამოშვების ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი განათლებაა.

თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე 98-მა კურსდამთავრებულმა გუშინ ფიცი დადო. მათ ოფიცრის პირველადი წოდება — ლეიტენანტი მიენიჭათ. პირადი შემადგენლობა შეიარაღებული ძალების კაპელანმა მამა დავითმა დალოცა. ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსი 50 კვირას მოიცავდა. დღეიდან კურსდამთავრებულები სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან და შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებენ სამსახურს.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც ესწრებოდა

— ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წინაშე დგას ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ეს არის მშვიდობის დაცვა, ომის მოგება ბრძოლის გარეშე. ეს არის ურთულესი სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ მზად ვართ ამ მიზნის მისაღწევად. იმისათვის, რომ ომი მოიგო ბრძოლის გარეშე, პირველ რიგში არის გასაკეთებელი ის, რაც თქვენ გააკეთეთ. ეს არის მაღალი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. მეორე ნაბიჯი არის ის, რაც არც ერთ ქართველს არ ესწავლება, ეს არის თავგანწირვა სამშობლოსთვის. მტერმა იცოდა და უნდა იცოდეს რომ ყოველთვის, საქართველოს მოქალაქეები, ჩვენი შეიარაღებული ძალები ძვირად დაუფასებენ ნებისმიერ მომხდურს ჩვენი საზღვრის დარღვევას, — განაცხადა მარგველაშვილმა.

## ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას გვილოცავენ

**უკრაინის**, მოლდოვასა და საქართველოს მიერ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ სენატორებმა ქრის მერფიმ და სენატის საგარეო საქმეთა ევროპულ საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რონ ჯონსონმა განცხადება გამოაქვეყნეს.

— ვულოცავთ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ისტორიულ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც გზას უხსნის ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცეს ევროკავშირთან. ეს ხელშეკრულება აღრმავებს, სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ევროკავშირთან, რაც ინვესტორებისთვის დამატებითი სტიმული იქნება.

უკრანიამ, საქართველომ და მოლდოვამ ბევრი გააკეთეს, რომ თავიანთი ქვეყნები კიდევ უფრო მიეახლოებინათ ევროპულ სტანდარტებთან, იქნება ეს მართლმსაჯულებაში, მედიის თავისუფლების კუთხით, რეფორმებით საარჩევნო კოდექსში, გარემოს დაცვის საკითხებში, ადამიანის უფლებების დაცვაში თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ამ ხელშეკრულებას, რომელიც საწინდარია ძლიერი და მტკიცე დემოკრატიისა.

მაშინ როდესაც უდავოა, რომ ეს ქვეყნები კვლავ განიცდიან სირთულეებსა და ზეწოლას მოსკოვის მხრიდან, ჩვენი კონგრესი ყოველმხრივ შეეცდება, მხარი გაუმაგროს უკრაინელ, ქართველ და მოლდოველ ხალხს, რამეთუ მათ გამოხატეს თავიანთი მტკიცე სურვილი, დაუახლოვდნენ ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, — ნათქვამია სენატორების განცხადებაში.

## აბაშიძე კარასინს პრაღაში შეხვდება



**ქართულ-რუსული** დიალოგის ფორმატში, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა პრაღაში 9 ივლისს გაიმართება. აღნიშნული თარიღი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის სატელეფონო საუბრისას შეთანხმდა.

— დავადასტურეთ, რომ აღნიშნული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში 7 ივლისს, ასევე პრაღაში, შედგება საინფორმაციო-საექსპერტო შეხვედრა სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე, რომელზეც განხილული იქნება 2012 წლის ბოლოდან დღემდე ამ სფეროში გაწეული სამუშაოს შედეგები და საქართველო-რუსეთის სავაჭრო კავშირების სამომავლო პერსპექტივები, მათ შორის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. საქართველოს მხრიდან 2-3-კაციან ჯგუფს უხელმძღვანელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის დირექტორი, — აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

ინტერპრესი

◉ ეს თბილისის სამშენებლო ნორმებს ეწინააღმდეგება

# კიდევ ერთი სიბეცე და უყაირათობა

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

მოგმართავთ სასტუმრო „რედისონ ბლუ" — მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის საკითხზე. ძველი ტრასის ახლით შეცვლასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად უარყოფითია, რასაც ობიექტური საფუძველი აქვს. ახალი ტრასა არა მხოლოდ პროფესიული უმწიფრობაა, არამედ ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რითაც უნდა დაინტერესდეს პროკურატურა. უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას - რატომ შეიცვალა ძველი ტრასა? ის ხომ უაღრესად მოხერხებული და უსაფრთხო იყო, მისი დიდი მონაკვეთი ხევზე გადადიოდა. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ტრასა არ კვეთდა რუსთაველის გამზირს და საქალაქო სატრანსპორტო ნაკადების მხრივაც საუკეთესო იყო. წარმოუდგენელი სიბეცე და უყაირათობაა, არ გაუწიო ანგარიში იმას, რომ არსებობს ქვედა სადგურის შენობა, რომელსაც აქვს თავისი მიკროსამყარო, წინა ეზო, ასევე არსებობს ტრასის საყრდენი ადგილები. ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობებს მოკლებულია ახალი ტრასა. მისი ქვედა სადგურის მდებარეობა მნიშვნელოვნად ზღუდავს არჩევანს დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ საუფლოში დასადგმელად, რასაც თბილისელები აქტიურად ითხოვენ. არც ის არის უმნიშვნელო, რომ ქვედა სადგურის ფორმა (კვერცხი) პირდაპირი ანალოგია ქალაქ მუმბაიში (ინდოეთი) აგებული ე.წ. „კიბერ-კვერცხისა". მაშასადამე, შენობა მეორადია. მას არქიტექტურულ-კულტუროლოგიური ღირებულება არ აქვს. რაც შეეხება ახალ ტრასას და საყრდენებს, ის გადადის მჭიდროდ განაშენიანებულ ურბანულ ქსოვილზე და საყოფაცხოვრებო დისკომფორტს შეუქმნის ასობით ოჯახს, რასაც ისინი იგრძნობენ საბაგიროს ამუშავებიდან პირველსავე წუთებში, საქართველოს ხელისუფლებას და თბილისის ახალ ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება. ერთ-ერთი საყრდენი გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისშია განთავსებული, ტროტუართან. მოგეხსენებათ, გრიბოედოვის ქუჩა ერთ-ერთი სატრანსპორტო ალტერნატივაა რუსთაველის გამზირისა, აქ ყოველ კვადრატულ მეტრს ოქროს ფასი აქვს. ერთ-ერთი საყრდენი კონსტრუქცია კი მდებარეობს (ამჟამად გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს) პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩაზე, დასრულების სტადიაში მყოფ კულტურის ცენტრ „მთაწმინდის" ცხვირწინ, 15 მეტრზე, ზედ ტროტუარზე. რაც პროფესიული უმეცრებაა, ეწინააღმდეგება სამშენებლო ნორმებს და წესებს, რის გამოც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს. ტრასა გადადის შიდა ეზოს და შენობის თავზე, რომლის სახურავი წარმოადგენს სხვადსახვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების სივრცეს. ეს უპრეცედენტო, ბოროტი ინტერვენციაა კერძო საკუთრებაზე. აუტანელი ხდება არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ატმოსფერო, არამედ საცხოვრებელი და სამუშაო პირობები. ობიექტი, რომელსაც უაღრესად კეთილშობილური მიზანი აქვს — ემსახუროს კულტურას, ხოლო პროფესიონალთა აზრით, შენობა წარმოადგენს თანამედროვე ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო ობიექტს, ფაქტობრივად კვდება.

საჭიროა, დადგინდეს: გაიარა თუ არა ამ უმნიშვნელოვანესმა პროექტმა სრულყოფილად განხილვა-შეთანხმების პროცედურა, რატომ ვერ „შეამჩნია" არქიტექტურულმა სამსახურმა (საბჭომ) ქვედა სადგურის არქიტექტურული მეორადობა (პლაგიატობა), როგორ განისაზღვრა ქვედა სადგურის ადგილი, როდესაც არ არსებობს მოედნის არქიტექტურული პროექტი, ვინ იყვნენ პროექტის ექსპერტები (კონკრეტული პირები), როგორია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დასკვნა.





სასტუმრო „რედისონ ბლუ" — მთაწმინდის პარკის საბაგირო გზის ქვედა სადგურის პროექტი

მესმის, რომ ეს საკითხი თქვენ და თქვენს კაბინეტს უშუალოდ არ გეხებათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის მერია დღეებს ითვლის და ფაქტობრივად დემორალიზებულია, რასაც ემატება ის რეალობა, რომ მერია თავად არის ამ საქმის მოთავე და ერთ-ერთი მხარე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. მოგმართავთ თხოვნით, **სასწრაფოდ შეჩერდეს სამშენებლო სამუშაოები, რათა თავიდან ავიცილოთ უაზრო ხარჯი და მერიის ახალ ხელმძღვანელობას მიეცეს საკითხის არსში არსებითად გარკვევის შესაძლებლობა.**

ღრმა პატივისცემით,

**ვახტანგ დავითაია,**
ხელოვნების ცენტრ „მთაწმინდის" ავტორი,
რუსთაველის, სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

P. S. მართალია, პროექტი დამუშავებულია ავტორიტარიზმის პერიოდში, მაგრამ მისი რეალიზაცია მიმდინარეობს ამჟამად. შესაბამისად, შედეგზე პასუხისმგებელია დღევანდელი ხელისუფლება, მათ შორის მეც, როგორც პროფესიონალი და მოქალაქე.

თუ დაინტერესდებით, ჩემი საკონტაქტო ტელეფონებია:
577 73 42 57, 233 36 51, 222 59 87.
თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. 2, მე-3 სადარბაზო, მე-10 სართული.

# საგაზაფხულო გაწვევა დასრულდა

**როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა საზოგადოებას საგაზაფხულო გაწვევის შედეგები გააცნო.**




2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნა 2582 წვევამდელი, რითაც მთლიანად დაკმაყოფილდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის (782), თავდაცვის (600) და შინაგან საქმეთა სამინისტროების (1200) მოთხოვნები.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევას კოორდინირებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევდა.

№126-127. ოთხშაბათი, 2 ივლისი, 2014 წელი.



# რაც გულს მიკლავს...

**უკვე მოეწერა ხელი ევროკავშირში საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას. ეს მოვლენა, ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის მეტად მნიშვნელოვანია თავისთავად, მაგრამ არც ის იყო უმნიშვნელო, თუ რა აღტკინება და გამოძახილი გამოიწვია ამ პოლიტიკური აქტის ერთ-ერთმა დეტალმა — ვის უნდა მოეწერა ხელი ქვეყნის სამომავლოდ და საკეთილდღეოდ შექმნილ ამ დოკუმენტზე — პრეზიდენტს თუ პრემიერ-მინისტრს. ქართული ბუნების თუ უბუნებობის წარმომჩენმა ამ ფაქტმა, ალბათ, ბევრი გაამხიარულა, მაგრამ ქვეყნის ბედ-იღბლით შეწუხებულთათვის სამხიარულო არადა, სატირალი კი იყო ნამდვილად... რა ვქნათ ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა, როდესაც ჩვენი ქვეყნის სამართავად მოსულ ახალბედა (?) პოლიტიკოსებში გადაჭარბებულად მძლავრობენ ამბიციები? ვიყოთ მშვიდად და მივდიოთ მოვლენებს? ალბათ.**

და აი, ხელთა გვაქვს მთავარი — ევროპაში საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება და, ვფიქრობ აგერ, ახლა, ჩემთვის: ნუთუ მართლა ეს ხელშეკრულების დოკუმენტი და მასში ჩაბეჭდილი სიტყვებია მთავარი, თუ მთავარია ის, როგორ შევძლებთ ჩვენ ევროპისკენ მიბრუნებას, იმ წესრიგის გათავისებას, რასაც ევროპული ცხოვრების სტილი ჰქვია? თუმცა, ერთი მხრივ, მიკვირს კიდეც: ჩვენ რომ ქვეყანას მოვუაროთ, გამონაბოლქვში დასახრჩობად განწირული ქალაქი გადავარჩინოთ, სახლებში, თითოეული ბინის გასათბობად ინდივიდუალურად მოწყობილი ტექნიკით უსაშველოდ დაბინძურებულ ჰაერზე ვიზრუნოთ, ჩვენსავე საჭმელ-სასმელად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტი რომ შევქმნათ, ჩვენივე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაც ჩვენი ნიჭისა და თანამედროვე ადმიანის მოთხოვნების შესაბამისად ავაწყოთ, მრავალსართულიან სახლებში თანაცხოვრების კულტურა დავიცვათ, აივნებიდან, ფანჯრებიდან ნაგავი პირდაპირ ეზოში ან კიდევ უარესი, ქუჩაში არ გადავყაროთ, მობინადრეებმა ფარდაგები თუ იატაკის ჩვრები ერთმანეთს თავზე არ ვაფერთხოთ, სადარბაზოების მოვლა-დასუფთავება თითოეულმა მობინადრემ თანაბრად გავინაწილოთ, ღამით, თორმეტი საათის შემდეგ ღრიანცელით და ხმაურით ერთმანეთს ძილი არ დავუფრთხოთ, ქუჩაში როგორც ფეხით მოსიარულეებმა, ასევე მძღოლებმა, სიარული ვისწავლოთ და ასე შემდეგ, კიდევ უამრავი რამ... ყველა ეს პირობა, განა არ ჯობს, საკუთარ თავს წავუყენოთ? კი ბატონო, იყოს ხელშეკრულება, იცოდეს ევროპამ ჩვენი სურვილები და გეგმები, მაგრამ ჩვენი გასაკეთებელი ერთმანეთს მოვთხოვოთ ხალხო და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მთავრობამ საკუთარ ხალხთან დადოს ხელშეკრულება, რომ ევროპის წინაშე თავი არ შეირცხვინოს! იმდენი რამ გვაქვს სასწავლი და გამოსასწორებელი, თუნდაც ათეული წლების მანძილზე შინაური თუ გარეული მტრებისაგან გათელილ-გაპარტახებული ჩვენი კარგი, ძვირფასი ადათ-წესები ასაღორძინებელი...

უცნაურია ჩვენი ყოფა. მარტო ჩვენი, ქართველებისა კი არა, ზოგადად, ადამიანისა. მაგრამ საიდან შევძლებ გადავხედო ადამიანურ ყოფას, თუ არა ჩემი საცხოვრებლიდან, ჩემი ქვეყნიდან? კომუნისტების ზეობის დროში დავიბადე და გავიზარდე, იმდროინდელი ცხოვრების კადრებით სავსეა ჩემი გონება- მეხსიერება. ასეთები ჯერ კიდევ ბევრნი ვართ და კარგად გვახსოვს, რა როგორ ხდებოდა. ეს სურათები მუდამ თან მახლავს და გულს მიკლავს იმაზე ფიქრი: რანი ვიყავით, რაზე ვოცნებობდით, რა იდეებს და მიზნებს ვეფერებოდით, ვახარებდით და ვზრდიდით გულში, ვილვწოდით და ახლა რაზეც ვოცნებობთ...

ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო. ასე გვეგონა ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდით. ჩვენს იქით (თუ აქეთ?) მუქი, ბლანტი და მძიმე ღრუბლები ჩამოწოლილიყო. გვეგონა, თუ იმ ღრუბლებს გავარღვევდით, უკეთეს სამყაროში ამოვყოფდით თავს. ველოდით ამ დღეს, ველოდით სინათლეს და იმედს გულში ვატარებდით. გულში ნატარები შუქისა და იმედის ძალით, რომელიც დროდადრო ბობოქრად შეებმებოდა ხოლმე ღრუბლებს და თანდათან ასუსტებდა მას (ვინ იცის, შეიძლება ღრუბლები დროის გამოისობითაც სუსტდებოდნენ!), ერთ მშვენიერ დღეს იმ ათეული წლების მანძილზე ნანატრ თავისუფლებასაც მივაღწიეთ. ახალი ჰაერი ჩავისუნთქეთ, მაგრამ არც თუ საკმარისი ჟანგბადით გაჯერებული... ამიტომ გვახსენდება ახლო წარსული, ძალაუნებურად გვაგონდება ძველი და ვადარებთ ახალს... კი, შეიცვალა ფორმა ცხოვრებისა, მაგრამ რა ძნელია თურმე შეცვალო სტრუქტურა, შეცვალო შინაარსი და დააწყო ყველაფერი ისე, კაცთა ცხოვრებას ადამიანურ სახეს რომ მისცემს.

ასე რომ, კვლავ უცვლელი რჩება საწყაულით აღუვსებელი კაცის გული. ვფიქრობ და ამ ფიქრებში ჩნდება ათასი კითხვა. თან საგულდაგულოდ ვეძებ პასუხს... ნეტავ, რა აიძულებდათ კომუნისტებს, როცა მეცნიერებს, მეცნიერებაში და მეცნიერებისთვის მოღვაწე პირებს დიდად აფასებდნენ, რაც მეცნიერ-პროფესიონალთა შრომის ანაზღაურებაშიც გამოიხატებოდა. პროფესორის ხელფასი თითქმის იგივე რაოდენობისა იყო, როგორიც უმაღლესი თანამდებობის პოლიტიკოსისა, გვახსოვს ის ეპოქა! და მაინც მაშინაც, პოლიტიკურ საქმიანობაში წამსვლელთა რაოდენობა ყოველთვის საკმაოზე მეტი იყო. არც იყო გასაკვირი, კომუნისტური რეჟიმის მსახურებს გარკვეული შეღავათები ჰქონდათ და ხალხს, ჩვეულებრივ, რიგით მოსამსახურეებს ესეც კი გვაღიზიანებდა. თუმცა, სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ მსგავს შეღავათებს სხვა ორგანიზაციებსაც კი უწილადებდნენ ის დასამხობი კომუნისტები. ახლა კი რა ხდება? მოითმინეთ, ძვირფასო მკითხველო, ბარემ დოლ-გარმონით ჩატარებული არჩევნებიც გავიხსენოთ და ხალხის უდარდელობაც. — რა უნდა მომხდარიყო არჩევნების შედეგად ისეთი, რომ აღელვება გამოეწვია ან ხალხისა, ან მთავრობისა. ვინც უნდოდა, ქვეყანაში სამარადჟამოდ დამკვიდრებულ კომუნისტების ერთადერთ პარტიას, ხალხსაც ხმა მისთვის უნდა მიეცა. აი ასეთი იყო აწ დაქცეულ მშრომელთა ქვეყნის ცხოვრების ძირითადი დეტალები. უკვე ორ ათეულზე მეტი წელია, რაც გამოვეცალეთ იმ ქვეყანას „მუშათა კლასის" წარმომადგენელთა მიერ შემდგარი პარტიისაგან რომ იმართებოდა. კაპიტალისტურ წყობილებაზე გადავედით. თავისუფლებასთან ერთად უკეთეს (საამურ) ცხოვრებას ასეთი წყობა მოგვიტანსო, გვიმტკიცებენ პოლიტოლოგები. ვინ იცის, რას მოგვიტანს ეს წყობილება აწი, მაგრამ ხომ ვიცით, უკვე რაც მოგვიტანა. ეს არის მრავალპარტიულობა და ქვეყნის სათავეში მოხვედრილთა აღზევება როგორც სიმდიდრით, ასევე ძალაუფლებით.

ზედა ეშელონებში მოხვედრილთ ხალხის მსახურებაზე მეტად პირადი კეთილდღეობის მოპოვება აინტერესებთ. ყოფილმა მთავრობამ ამის საუკეთესო მაგალითი დაგვანახვა, სათავეში მოსვლისთანავე ისეთი ხელფასები განუწესა მინისტრებს, დეპარტამენტების მაღალჩინოსნებს და ჩინოვნიკებს, კომუნისტებს რომ არ დაესიზმრებოდათ. იმთავითვე არ მენიშნა სასიკეთოდ ვითომ ქვეყნის დასალაგებლად და ხალხის მოსავლელად მოსული მთავრობის დიდხელფასიანობა, მალე, სულ მოკლე ხანში დაივიწყეს, რისთვის მოიყვანა და აირჩია იგი ხალხმა. ამის თაობაზე შეწუხებული საზოგადოების დიდი ნაწილის გულისტკივილს ყოველ წერილში გამოვთქვამდი, მაგრამ ვინ გვათხოვა ყური. ფულის ძალამ სხვა თვალით გადმოახედა ზემოთ მყოფნი. ყოფილ ხელისუფალთ ვინ დაეძებს, ახლებსაც, რომ იგივე სენი გადაედოთ, ეს არის საფიქრალი. პენსიონერთა, გაჭირვებულთა და უმუშევართა ბედ-იღბალზე, მათ ლუკმაპურზე ზრუნვის ნაცვლად, უპირველეს ყოვლისა, რაც გააკეთეს, ეს იყო ის, რომ დიდი ხელფასები არამც თუ შეინარჩუნეს, არამედ დამატებითი თანხების მისაღებად რა არ მოიგონეს, პრემიებიო, ხელფასზე დანამატიო...

ეს რა უნამუსობაა, ეს რა ხალხი შეგვირჩევია ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მოსავლელ-საპატრონოდ! ქვეყანაში უმუშევართა და მშიერთა კოლონები ხომ გვყავს და გვყავს, მაგრამ ახლა ერთი თვალით იმათაც გადავხედოთ, ვინც მუშაობს. არის ორგანიზაციები, სადაც არც თუ ისეთი ჯანსაღი სამუშაო პირობებია, ხელფასებიც ათჯერ კი არა, ასჯერ დაბალია, ვიდრე რომელიმე ჩინოვნიკისა და, ამავე დროს, სამუშაო, ანუ გასაკეთებელი საქმეც ხშირად ცდება ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმს და მოსამსახურისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ დატვირთვას როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური სახისას. მაგალითად, ერთი შეხედვით ვითომ უწყინარ სამსახურებში — ბიბლიოთეკებში,სადაც უმეტეს წილად ქალები მუშაობენ, მომსახურე პერსონალს უწევს მძიმე სამუშაოების შესრულება წიგნადი ფონდის გაწმენდა-დალაგებისა და ორგანიზების დროს, ამ სამუშაოების შესრულება ჯანმრთელობის რისკთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ არ მახსოვს, რომ ამისთვის წიგნის გადასარჩენად და მკითხველის სასარგებლოდ გაწეული განსაკუთრებული მუშაობისთვის, ბიბლიოთეკარებს ოდესმე დამატებითი ხელფასი, ან პრემია მიეღოთ. ადამიანები კი, რომლებიც ერთ აურზაურსა და ხმაურს ქმნიან არჩევნების მზადების დროს, დადიან კარდაკარ, ხვდებიან ამომრჩევლებს და ხმებისა და თანადგომის მოსაპოვებლად ყოველგვარ სიკეთეს ჰპირდებიან მოსახლეობას, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სრულიად ავიწყდებათ ხალხი და მათზე გაცემული დაპირებები.

ევროპაში ასოცირების ხელშეკრულების დადების დროს, არ იქნებოდა ურიგო, თუ ჩვენი მაღალჩინოსნები, ამ ხელშეკრულების ხელისმომწერნი დაინტერესდებოდნენ მათივე უცხოელი კოლეგებისა და იქაური მეცნიერების, კულტურის მუშაკებისა და სხვა მოსამსახურეთა ხელფასების თანაფარდობებით და მერე, ყოველივე ამას, ჩვენსას შეადარებდნენ. განა ადამიანის შრომის შესაბამისი ანაზღაურება არ მოიაზრება ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვაში? ადამიანი თუ ნამდვილად ადამიანი ხარ და ამ დროს იცი, რომ შენთვის განკუთვნილ ხუთასლარიან ხელფასიდან ოცდაოთხ პროცენტს აუცილებლად ჩამოგაჭრიან სათავეში მოსული ჩინოვნიკების გაასმაგებული ხელფასების უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება თავს დამცირებულად არ გრძნობდე. ყოველგვარი დამცირება კი იწვევს არასრულფასოვნების კომპლექსს. დიახ, ჩვენში არასრულფასოვნების განცდით შეპყრობილი საზოგადოება ჩამოგვიყალიბეს მცირეხელფასიანთა, პენსიონერთა და სხვათა სახით და თუ ჩვენი ქვეყნის უმუშევართა, ელემენტარული შემოსავლის არმქონეთა და გაჭირვებულთა კოლონებს გადავავლებთ თვალს, რომელ ამაყ, მომავლისა და ევროპული სტილის ქვეყნის მშენებელ საზოგადოებაზეა საუბარი? ჩვენ ახლა „მუშათა კლასიც" არა ვართ! თუ ყოფილი და ახლანდელი მთავრობის უმეტესთა ცხოვრებას და ქონებას და, ამავე დროს, ცალკე აღებულ ხალხისას, ერთმანეთს შევადარებთ, მგონი, არც „ლუმპენ პროლეტარიატი" ვართ!

**ვფიქრობ და ვწერ, რასაც ვფიქრობ. რასაც ვეჭვობ. ამავე დროს, ძვირფასო მკითხველო, ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ ევროკავშირში ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ მახარებდეს, მიხარია და ამავე დროს ვეძებ საფუძველს ... ახლანდელი ჩვენი ყოფა, როგორ არა ვთქვა, გულს მიკლავს და მომავალს მიბუნდოვნებს!.. რამდენი საქმეა გასაკეთებელი და ყველაფერი ერთდროულად, ახლა რომ იტყვიან — კომპლექსურადო, ისე, და მაინც, უპირველეს ყოვლისა, — შრომის კულტურა, ყოფა-ცხოვრების კულტურაა მთავარი და კიდევ უფრო მთავარია — რამდენად, ქვეყნის ბიუჯეტის, ფინანსების დაზოგვით, ეკონომიკური ცოდნით, აუცილებელი კულტურით წარმოგვიდგენს მთავრობა უმაღლეს ეშელონების ჩინოვნიკთა ხელფასებს და იქვე შესაფერ სარგოებს მიაკუთვნებს როგორც პენსიონერებს, ასევე საჯარო სამსახურების მუშაკებს, იზრუნებს უმუშევრებზე და დღეს უკვე მათხოვრებად ქცეულ უშემოსავლო ადამიანებზე.**

**გულნარა სტურუა**

◉ ალიანჩალიანი

## საქართველოს საზღვაო დროშამ შავი სიიდან ნაცრისფერ სიაში გადაინაცვლა

**— ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძემ განაცხადა. მიქელაძის თქმით, ამ დღეს საქართველო 1998 წლიდან ელოდებოდა.**

**— მას შემდეგ, რაც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი გამოცხადდა ღია რეესტრად, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშა პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში ირიცხებოდა. საქართველოს მთავრობის, ჩვენი სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმების შედეგად, 2014 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშამ შავი სიიდან ოფიციალურად გადაინაცვლა ნაცრისფერ სიაში, — განაცხადა ნათია მიქელაძემ.**



**მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელშიც შედის ევროკავშირის წევრი ყველა საზღვაო ქვეყანა, რუსეთის ფედერაცია და კანადა, ყოველწლიურად აქვეყნებს განვლილი 3 წლის მონაცემებს. კერძოდ, ჯამდება 3 წლის განმავლობაში თითოეული ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების ინსპექტირებისა და დაკავებების შედეგები, რის საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშა ხვდება შავ, ნაცრისფერ ან თეთრ სიაში.**

**ინტერპრესი**

# თბილისელი მაფიოზების უფროსი... იგი, ანუ გიგი

## ახალი, მილიონლარიანი ბრალდება – რას ჰყვება ბექაური უგულავაზე

**გიგი უგულავას პასუხისმგებლობა კიდევ ერთ საქმეზე ეკისრება. თბილისის უფლებაშეჩერებულ მერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვას ედავება. საქმე ეხება გიგი უგულავას თბილისის მერის პოსტზე ყოფნის პერიოდს. საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, სწორედ, მან გამოსცა უკანონო ბრძანება, რომლითაც კერძო კომპანია – „სი-ტი პარკს“ დამატებითი შეღავათები მიენიჭა. ამ კონკრეტულ საქმეზე ბრალის დამტკიცების შემთხვევაში გიგი უგულავას 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.**

გამოძიების ინფორმაციით, 2007 წლის 7 დეკემბერს, შპს „სი-ტი პარკსა“ და ქ.თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარის გაცემის შესახებ“, რომლის თანახმად თბილისში პარკირების მომსახურების გაწევა გადავიდა ექსკლუზიურად შპს „სი-ტი პარკ“-ზე, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის (ჯარიმების) 60%-ს მიიღებდა ქ.თბილისის მთავრობა, ხოლო 40%-ს შპს „სი-ტი პარკი“. ამავე ხელშეკრულების თანახმად, შპს „სი-ტი პარკს“ მიეცა საგზაო მოძრაობისა და დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების უფლება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად კი, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მიღებული შემოსავლის 40% უნდა წარიმართოს ცენტრალურ ბიუჯეტში, 60% ადგილობრივი ბიუჯეტში, ხოლო ამავე კანონის თანახმად, პარკირების წესების დარღვევისთვის შედგენილი საჯარიმო თანხები ავტომატურად მიიმართება თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განმარტებით, გიგი უგულავა მერობის პერიოდში „სი-ტი პარკს“ შემოსავლების ხელოვნურად გაზრდაში დაეხმარა და ამით სახელმწიფო ბიუჯეტი დიდი ოდენობიც თანხით აზარალა.

**„კერძოდ, გიორგი უგულავამ შპს „სი-ტი პარკი“-ს სასარგებლოდ, 2009 წლის 11 თებერვალს გამოცემული ბრძანების დანართში განზრახ არასწორი სახაზინო კოდი მიუთითა, რის საფუძველზე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის თბილისელების მიერ გადახდილი ჯარიმის თანხის 40%, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა, გადაირიცხა შპს „სი-ტი პარკის“ ანგარიშზე“,** – განმარტავენ საგამოძიებო სამსახურში.

თბილისის უფლებაშეჩერებულ მერს ასევე ედავებიან კომპანიისთვის სასარგებლო და სახელმწიფოსთვის საზიანო დოკუმენტის გამოცემაში. უფრო კონკრეტულად კი საუბარია 2011 წლის 6 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც „სი-ტი პარკსა“ და თბილისის მერიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლის კვლავ „სი-ტი პარკის“ სასარგებლოდ გადანაწილებას ითვალისწინებდა – „სი-ტი პარკს“ მიეცა შესაძლებლობა თბილისელების მიერ გადახდილი თითოეული ჯარიმიდან, დამატებით, 3 ლარი მიეღო.




გიგი უგულავა და მისი თანაგუნდელები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ბრალდებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. უგულავას მტკიცებით, მის წინააღმდეგ ჩვენება კობა ბექაურს აქვს მიცემული, თუმცა, ამ ჩვენების შინაარსი მისთვის და მისი ადვოკატებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

**„ხუთი წუთი სჭირდებოდა ბექაურის ჩვენება რომ მოეცათ, თუმცა, არ მოუციათ. როგორც ჩანს, ეს არის შაბლონური ჩვენება. თუმცა, მეც დიდი სიამტკბილობით წავიკითხავდი მის ჩვენებას“,** – განუცხადა გიგი უგულავამ ჟურნალისტებს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც იგი ქვეყნიდან გაუსვლელობის საკითხზე გააფრთხილეს და ამ მიზნით სპეციალური ოქმიც შეადგინეს.

უგულავას ადვოკატი ბექა ბასილაია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უკანონო ოქმის გამოცემაში ადანაშაულებს. ადვოკატის მტკიცებით, ოქმი, რომელიც პირს ქვეყნიდან გასვლას უკრძალავს, მოქმედი კანონით, მხოლოდ სასამართლომ უნდა გამოსცეს.

**„პირისთვის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რეალურად, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. საგამოძიებო ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი, მსგავსი ტიპის ოქმები შეადგინონ. ამ ყველაფერს ვაფასებთ გიორგი უგულავას მიმართ პოლიტიკური დევნის გაგრძელებად. ბრალდების მხარე საკუთარი ქმედებებით ლუსტრაციას ახდენს“,** – განუცხადა for.ge-ს ბექა ბასილაიამ და აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოცემულ ოქმს სასამართლოში აუცილებლად გაასაჩივრებს.

ადვოკატის განცხადებით, უგულავას საქმეში არსებული კობა ბექაურის ჩვენება საგამოძიებო სამსახურმა მათ დროულად განგებ არ გადასცა და საამისოდ ვადა საღამომდე ითხოვა.

**„ვიცით, რომ ასეთი ჩვენება არსებობს, მაგრამ არ ვიცით დეტალები, თუ რა წერია ამ ჩვენებაში, როდესაც ოფიციალურად გადმოგვეცემა, დეტალებზეც ვისაუბრებთ. აბსურდულია და შეუძლებელია, ვინმე კობა ბექაური რამე ინფორმაციას ფლობდეს გიორგი უგულავას წინააღმდეგ. კობა ბექაური არის თაღლითი და ამ საქმეშიც პირადი განაწყენების საფუძველზე აძლევს ჩვენებას. ეს არის მორიგი მარგინალიზებული პიროვნების ჩვენება, ისეთის, როგორიც აქამდე იყო ჯოზეფ კეი“,** – აცხადებს ბექა ბასილაია.

კობა ბექაური „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წარმომადგენელია, სწორედ, ამ პარტიის „რწმუნებით“ იყო ჯერ თბილისის საკრებულოს, შემდეგ კი საქართველოს პარლამენტის წევრი. ბექაური ქართველ საზოგადოებას საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ გახმაურებული ამბებით ახსოვს. მოგვიანებით, ის ჟურნალისტ შალვა რამიშვილის საქმეშიც გამოჩნდა, წლების წინათ გავრცელებული ვიდეოკადრების თანახმად, რამიშვილს, სწორედ, მან გადასცა დიდი ოდენობით თანხა მის შესახებ მომზადებული საგამოძიებო რეპორტაჟის ეთერში დაბლოკვის სანაცვლოდ.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულებიდან დაახლოებით ერთ თვეში, კობა ბექაური თავად შალვა რამიშვილის გადაცემის სტუმარი იყო. „მაესტროს“ ეთერში ბექაურმა ჟურნალისტისთვის ფულის შეთავაზების საკითხზე განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება ვანო მერაბიშვილმა, ზურაბ ადეიშვილმა და დათა ახალაიამ აიძულეს.

რა ინფორმაციას ფლობს და რა კავშირი აქვს „სი-ტი პარკის“ საკითხზე გიგი უგულავასთვის წაყენებულ ბრალდებასთან კობა ბექაურს? for.ge-ს კითხვას იგი ასე პასუხობს:

**„2005 წელს, საკრებულოში ყოფნის პერიოდში, მე ჩამოვიყვანე ისრაელიდან და მოვაწყობინე პრეზენტაცია იმ პირებს, ვისთანაც 2007 წელს გიგი უგულავამ და მამუკა ახვლედიანმა ხელშეკრულება გააფორმეს. უთხრეს მათ, რომ კობა ბექაური არაფერ შუაში იყო, ყველაფერი თავად იყვნენ და გადაიფორმეს კიდეც წილები. შექმნეს ზუსტად ისეთი სატენდერო პირობები, როგორიც მათ აძლევდათ ხელს. ამ კომპანიას 7 საჯარიმოს მანქანის ჩამოყვანის და გზების დახაზვის გარდა, საქართველოში არაფერი გაუკეთებია“.**

ბექაური განმარტავს, რომ თბილისის მერიამ, „სი-ტი პარკს“ მხოლოდ მისაღები სატენდერო პირობები არ „აკმარა“ და წლების განმავლობაში ხელშეკრულება, კომპანიის სასარგებლოდ, ოთხჯერ შეცვალა.

**„უგულავამ და ახვლედიანმა მაფიოზური სქემა შეიმუშავეს და ეს სფერო საკუთარ ბიზნესად აქციეს. ხელშეკრულებაში ჩაწერეს, რომ თუ ამ კომპანიას ვინმე შეეხებოდა, მერიას 60 მილიონი დოლარის ჯარიმა უნდა გადაეხადა. კომპანია, რომელმაც ხელშეკრულება გააფორმა მერიასთან, 2007 წელს, 3 წელიწადში გაიყვანეს და „სი-ტი პარკი“ სხვა კომპანიაზე გადააფორმეს. ახალ კომპანიას კი ტენდერით გათვალისწინებული ძველი ვალდებულებებიც მოუხსნეს და სრულად საკუთარ თავზე მოირგეს. 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ, სწორედ, ეს კომპანია აფინანსებდა გიგა ნასარიძის რეკლამებს. ბიუჯეტის ქურდბაცაცა უგულავამ კარგად იცის, როგორ ვარ დაკავშირებული „სი-ტი პარკთან“, მესმის, რომ ნერვიულობენ, წინ სასამართლოა“,** – აცხადებს კობა ბექაური და აღნიშნავს, რომ დღეს თბილისის ბიუჯეტში „სი-ტი პარკის“ მიერ შესული თანხები, 2005 წელს არსებული პარკირების შემოსავლიდან მიღებულ თანხებს არ აღემატება, უგულავამ კი ამ პერიოდში მილიონობით ლარი მიიღო.

**უგულავას წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. „სი-ტი პარკის“ საქმეზე გამოძიება გრძელდება. გამოძიება ასევე გრძელდება მის წინააღმდეგ წარმოებულ სხვა საქმეებზეც, რომლის თანახმადაც, თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებულ მერს, დაახლოებით, 50 მილიონი ლარის გაფლანგვაში ედება ბრალი.**

**მადლენა მაჭარაშვილი**

---

### ალიანჩალიანი

## რომელ პარტიას გადაერიცხა ყველაზე მეტი შემოწირულობა?

**2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პერიოდში, ყველაზე მეტი ფულადი შემოწირულება „ქართულ ოცნებას“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ აქვთ მიღებული.**




**პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ცნობით, მიმდინარე წლის 13 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ შემოწირულების სახით 243 022.00 ლარი მიიღო. „ქართული ოცნების“ შემდეგ, ყველაზე მეტი – 51 008.50 ლარი – შემოწირულება მიღებული აქვს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“. შემოწირულების ოდენობით მესამე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც დროის აღნიშნულ მონაკვეთში 24 020.00 ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღო.**

**სხვა პარტიების შემოწირულობები კი ასე გამოიყურება: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 8 731.16 ლარი, „საქართველო გზა“ – 6 900.00 ლარი, „ხალხის პარტია“ – 1 000.00 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 300.00 ლარი, „მწვანეთა პარტია“ 0 90.00 ლარი.**

**სულ პარტიების შემოწირულობებმა აღნიშნულ პერიოდში 335 071.66 ლარი შეადგინა.**

## კახა ბენდუქიძემ „ნაციონალურ მოძრაობას“ 5 555 ლარი 5-ჯერ გადაურიცხა

**„ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძეა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კახა ბენდუქიძის მიერ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გადარიცხული თანხის ოდენობა ყოველ ჯერზე 5 555-ს შეადგენს.**



**პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით, კახა ბენდუქიძემ 5 555 – 5 555 ლარის ოდენობის თანხა „ნაციონალური მოძრაობას“ 5-ჯერ (მიმდინარე წლის 15 მაისს, 13 ივნისს, 14 ივნისს, 16 ივნისს და 20 ივნისს) გადაურიცხა. სულ აღნიშნულ პერიოდში კახა ბენდუქიძის მიერ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შეწირულმა თანხამ 27 775.00 ლარი შეადგინა.**

**ამასთან, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის 11 ივლისს ბენდუქიძისგან 55 555 ლარის ოდენობის ფულადი შემოწირულება მიიღო.**

**ინტერპრესი**

**ჩემთვის სულ ერთია, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი ხელშეკრულებს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ — პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თუ ვინმე სხვამ. მე არ მიმიღია მონაწილეობა ამ, ჩემი აზრით, სრულიად უაზრო დისკუსიაში, და არც ვიზიარებ იმათ აზრს, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეზღუდეს რაღაც უფლებებში. ამ დოკუმენტს ხელს მოეწერა, ხოლო ვისი ხელმოწერაა მის ქვეშ — ვფიქრობ, მეორეხარისხოვანი საკითხია. თუმცა, ჩემთვის სრულიადაც არაა უმნიშვნელო, თუ ვინ მოაწერა ხელი თანაგრძნობის წერილს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მოვიდა ჩემი კოლეგის — გაზეთ „გურჯისტანის" მთავარი რედაქტორის სულეიმან სულეიმანოვის ოჯახში მისი დაკრძალვის დღეს. და სწორედ აქ გაჩნდა შეკითხვა: ნუთუ საქართველოს პრეზიდენტს მართლაც ზღუდავენ უფლებაში მოაწეროს ხელი დოკუმენტებს? თუ მას კიდევ ერთხელ დაუდეს სარმა მისმა არაშორსმჭვრეტელმა თანამშრომლებმა?!**



# თვითონ პრეზიდენტს რომ მოეწერა ხელი სამძიმარზე, ვითომ რამე დაშავდებოდა?!

სულეიმან სულეიმანოვი საქართველოს აზერბაიჯანელი სათემოს ცნობილი წარმომადგენელია, უკიდურესად პატიოსანი ადამიანი, რომელიც მთავარი რედაქტორის სახით სათავეში ედგა საქართველოში ყველაზე ცნობილ აზერბაიჯანულ გაზეთს, გაგიკვირდებათ, 41 წლის განმავლობაში. როგორც შეეძლო და რაგვარადაც შეეძლო, ხელს უწყობდა აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას. ამ დროს მუდამ აქტიური შემოქმედებითი მუშაობით იყო დაკავებული. მისი სახელი მოხსენიებულია ქართულ-აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონების, სხვა წიგნების ავტორთა შორის. სულეიმანი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მინიჭებული ჰქონდა მთელი რიგი უმაღლესი და საპატიო წოდებანი, იყო საპატიო ჯილდოების კავალერი. დაახლოებით 25 წლის წინათ, როდესაც მთიან ყარაბახში იფეთქა სისხლისმღვრელმა კონფლიქტმა, სულეიმან სულეიმანოვს გაზეთ „ვრასტანის" მთავარ რედაქტორთან ვან ბაიბურთთან ერთად ერთი სოფელიც არ დაუტოვებიათ ქვემო ქართლში, სადაც რომ არ ჩასულიყვნენ და არ ეწარმოებინათ მოლაპარაკება თავიანთ თანამემამულეებთან — აზერბაიჯანელებთან და სომხებთან. ამ მოგზაურობათა მიზანი, ბუნებრივია, არ ყოფილა გართობა და დროსტარება: კოლეგა-რედაქტორები ცდილობდნენ, გაეკეთებინათ თავიანთი მხრიდან ყველა შესაძლებლობა, რომ მოეხდინათ პროვოკატორების ძალისხმევის ნეიტრალიზება და არ დაეშვათ ტერიტორიაზე მორიგი ეროვნებათშორისო დაპირისპირება. ერთი სიტყვით, სულეიმან სულეიმანოვი პატიოსნად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ქართულ ხელისუფლებას, ხოლო თუ ვივარაუდებთ, რომ ხელისუფლება და ხალხი ქვეყანაში ერთი მთლიანია, მაშასადამე, ქართველ ხალხსაც.

და აი, გასულ შაბათს სულეიმან სულეიმანოვი მიწას მიაბარეს. მის სახლში მარნეულის რაიონის სოფელ ქუთლიარში ბევრი ხალხი შეიკრიბა. რაიონში ხომ სულეიმანოვს კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. აქ სწავლობდა ის სკოლაში და დაამთავრა ტექნიკუმი, აქედან წავიდა სასწავლებლად თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ მუშაობდა პედაგოგად, სკოლის დირექტორის მოადგილედ. ენერგიული ახალგაზრდა აირჩიეს კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ გადაიყვანეს პარტიის რაიკომში, ანდეს რაიკომის მდივნის პოსტი, რამდენჯერმე აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. ყოველივე ამის შესახებ ლაპარაკობდნენ სამგლოვიარო მიტინგზე ადგილობრივი მეჩეთის იმამი, სკოლის პედაგოგები, მრავალრიცხოვანი მეგობრები, ჟურნალისტი-კოლეგები... შემდეგ დაიწყეს იმ წერილების კითხვა, რომლებიც შემოვიდა ოჯახის მისამართით პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, და აქ გამოირკვა, რომ მას ხელს აწერს არა პრეზიდენტი, არამედ მისი მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში სოფია შამანიდი. გავიფიქრე: რატომ? რამ შეუშალა ხელი პრეზიდენტს დაესვა თავისი ფაქსიმილიე თანაგრძნობის წერილზე? იქნებ გაზეთ „გურჯისტანის" რედაქტორი ის ფიგურა არაა? ან ბიოგრაფიამ ხომ არ უმტყუნა? მაგალითად, სულეიმანოვის მუშაობა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე ახალგაზრდობის წლებში, ვერ თავსდება, როგორც ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, იმ პრინციპებში, რომლებსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იყენებენ? მაგრამ თუ სულეიმანოვის კომუნისტურმა წარსულმა ხელი არ შეუშალა მოსულიყო და დაკრძალვაზე წარმოეთქვა სამგლოვიარო სიტყვა ადგილობრივი მეჩეთის იმამს, რატომ უნდა შეეშალა ხელი ბატონი მარგველაშვილისთვის მოეწერა ხელი გარდაცვალებასთან დაკავშირებულ წერილზე? განა ამაოდაა ნათქვამი: არ არის საჭირო ურო მეტი მუსლიმანი იყო, ვიდრე თავად იმამია.

თუმცა, ვფიქრობ, რომ საქმე უფრო მეტად არა თავად პრეზიდენტის პოლიტიკურ გამოუცდელობას შეეხება, არამედ მისი გუნდის, მათ შორის მრჩევლებისას, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ისინი უკეთესად ხედავენ როდის, სად და რა ხელმოწერები უნდა გაკეთდეს იმ დოკუმენტებზე, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოდის, მათ შორის, იმის ანალოგიურ წერილებზე, რის შესახებაც ახლა ვსაუბრობთ. და თავად მოაწერეს ხელი წერილზე, რაც ყველაზე შესაფერისად მიიჩნიეს ამ კონკრეტულ მომენტში.

1992 წელს ამგვარი რამ შემემთხვა მეც. გარდაიცვალა ჩემი წინამორბედი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორის პოსტზე პავლე ასლანიდი. გარდაიცვალა არა თავის სამსახურებრივ პოსტზე, როგორც სულეიმანოვი, არამედ უკვე პენსიაზე მყოფი. მივიდა ჟურნალისტთა კავშირში ვეტერანი ჟურნალისტების შეხვედრაზე და იქ გარდაიცვალა. ასლანიდის დონის ადამიანი, ბუნებრივია, იმსახურებდა ღირსეულ სიკვდილისშემდგომ სიტყვებს სახელმწიფოს სახელით, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა უანგაროდ. ჩვენ რედაქციაში უფროსი მეგობრისა და კოლეგის წასვლას გამოვეხმაურეთ თბილი ნეკროლოგით, რომლისთვისაც, როგორც ეს არის მიღებული, ხელი უნდა მოეწერათ ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელებს. მივედი მთავრობის სახლში, როგორც მაშინ უძახდნენ, სახელმწიფო კანცელარიაში. შევედი ერთ ოთახში, მეორეში. უშედეგოდ, იქ ახალი ხალხია. ის იყო გადააყენეს გამსახურდია. აპარატის ძველი მუშაკები გაყარეს. ყველგან ახალი სახეებია. არავინ არაფერი იცის და ხეირიანად არც ესმით, რა უნდა გააკეთონ. ვბრუნდები რედაქციაში დაბნეული და გულდაწყვეტილი. საბედნიეროდ, გამახსენდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის აპარატში მუშაობდა ჩემი მეგობარი კომკავშირულ ორგანიზაციებში მუშაობიდან ვაჟა ლორთქიფანიძე. ვურეკავ მას, ვუხსნი სიტუაციას. „რასაკვირველია, — მეუბნება ვაჟა, — რაზეა საუბარი: მოიტანე ნეკროლოგის ტექსტი". შევარდნაძის ახლად ჩამოყალიბებული აპარატი მაშინდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში იყო განთავსებული. მივდივარ იქ. ვაჟასთან ერთად ვკითხულობთ ტექსტს, შეგვაქვს მასში მცირეოდენი შესწორებანი. და უკვე მეორე დღეს რედაქციაში მოდის პავლე ასლანიდის მზა ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერდნენ ედუარდ შევარდნაძე და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრები, ზოგიერთი მინისტრი, გაზეთების რედაქტორები. ყველაფერი იყო უმაღლეს დონეზე, როგორც საჭიროა. ერთი დღის შემდეგ კი ტელეფონით მომძებნა თავად ვაჟამ: „ბატონ ედუარდს სურს გაუგზავნოს გარდაცვლილის ოჯახს თავისი პირადი თანაგრძნობა, — მითხრა მან. — მითხარი, თუ შეიძლება, რომელ მისამართზე შეუძლია მან ეს გააკეთოს?" რა თქმა უნდა, ეს საკითხიც ოპერატიულად გადავწყვიტეთ.

**აი, ასე ან დაახლოებით ასე უნდა გადაწყვიტოს საკითხები აპარატმა. დიახ, დიახ, შეუცვლელმა, გამოცდილმა აპარატმა, რომელიც შედგება შეუცვლელი, გამოცდილი, მცოდნე და ყველაფრის გამთვალისწინებელი აპარატის მუშაკებისაგან — რთული პროფესიის წარმომადგენლებისგან, და არა სინეკურებისაგან, ეს ადგილი რომ მიიღეს განსაკუთრებული კეთილგანწყობილებისათვის. და მაშინ არავის გაუჩნდება შეკითხვა: ვინ და რატომ უშლის ხელს პრეზიდენტს მოაწეროს ხელი ამა თუ იმ დოკუმენტს?**

**ვადიმ ანასტასიადი,**
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის"
მთავარი რედაქტორი.

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

- როდესაც კარლ ბილდტს საქართველოში არ შემოუშვებენ, მაშინ დარწმუნდები, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა.ეს სუბიექტი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც წყალს ამღვრევს და მუდამ უცერემონიოდ ეჩრება საქართველოს საშინაო საქმეებში. როგორც თუთბერიძე იტყოდა ახალგაზრდობისას: კმარა!
- გლიჯავენ ჩვენი ჟურნალისტები. დღეს, განდის ფონდის გახსნაზე, ერთ-ერთი წამყვანი ტელევიზიის ჟურნალისტმა ძალიან დარწმუნებული სახით იკითხა, მაჰათმა განდის ჩაწერა მინდა და სად ვნახოო.
- მერის კაბინეტში არასწორად დაპარკინგებისთვის, უგულავას მატროსოვის საჯარიმოზე გადაიყვანენ.
- ნიგერიის ალმა ხნული, საფრანგეთმა დაბლა ფარცხა.
- უგულავას კიდევ ერთხელ გამოშვებასაც საბოტაჟის ცუდი სუნი ასდის. უფრო სწორად, სადღაც რაღაც ყააააააააააარს!!!!
- აფრიკელებს რო ვუბალელშიკო, აფრიკუმე ვიქნები?
- ევროკავშირი რომ ევრაზიულ კავშირში შევიდეს, არც მაშინ გვეშველება რამე?
- მსოფლიო ჩემპიონატია, თუ მეკარეების FASHION WEEK-ი?
- კომენტატორი „ფრანგების" მაგივრად სულ „ევროპელები, ევროპელებიო" რომ იძახის, „ჩვენების" თქმა უნდა?
- ფეხბურთის მერე პოლიტიკურ რეკლამაში იმდენჯერ გაიმეორეს „ნიკა მელია თბილისის მერად! შემოხაზე №5", რომ მთელი გამოყოლილი ემოციები ეგრევე გამიქრეს.
- არა, შუა მსოფლიო ჩემპიონატის დროს პოლიტიკური ოპონენტის დაკავება როგორ შეიძლება?! სულ დაკარგეთ ადამიანობა? ის მოდრეკილი სამსუნგი მაინც დაახვედრონ კაცს საკანში, თორემ მთელი ნაცმოძრაობა ბრიუსელში ლუქსემბურგის მოედანზე წამოიპლაკება პროტესტის ნიშნად!
- მე მგონი, ჩვენი ქვეყნისთვის გაცილებით მიზანშეწონილი და დროული ლოზუნგი იქნება: „ევროპაში — ხაზინის ქურდების გარეშე!"
- არაერთ ქვეყანას, მრავალი წელია, ხელი აქვს მოწერილი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, მაგრამ დღემდე ევროკავშირში ვერ შევიდა, რადგან ევროკავშირს ისეთი კრიტერიუმები აქვს, რომლის შესრულებაც არ არის მარტივი. მოიკითხეთ, ერთი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ თავიანთ ქვეყანაში ის უცხოელი მქადაგებლები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ საქართველო ევროკავშირში ასოცირებისთვის მზად არის. თუ მზად ვართ, ამაში მალე დავრწმუნდებით. დღეისათვის იმის თქმა, რომ ეს ხელშეკრულება გადაარჩენს საქართველოს, არასწორია, მით უფრო თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს გავითვალისწინებთ, რომელიც კანონმდებლობის თვალსაზრისით ჩვენს სოფლის მეურნეობას ეხება. საქართველოს იმპორტირების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი საშუალებაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაზეც ჩვენ ნებაყოფლობით ვამბობთ უარს. იმ მიწისთვის, რაც ჩვენმა წინაპრებმა სისხლით შეინარჩუნეს, თავად ვერ მოგვივლია და უცხოელებს ვურიგებთ. ამაზე დიდი დანაშაული რა უნდა იყოს?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

## ◎ ალიანჩალიანი

### თბილისი მეექვსე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს უმასპინძლებს

როგორც „ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიიდან აცნობეს, „საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, დღეს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამის პრეზენტაცია და პრესკონფერენცია გაიმართება.

ორგანიზატორთა განცხადებით, ფესტივალი 20 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება. თბილისის სხვადასხვა თეატრებში ტაივანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან, უკრაინიდან, მაროკოდან, ფინეთიდან ფესტივალისთვის ჩამოსული კოლექტივები საინტერესო სპექტაკლებსა და მსოფლიო შედევრებს წარმოადგენენ.

ტრადიციულად ფესტივალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ქართული სპექტაკლების პროგრამა წარმოადგენს. ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ქართული სპექტაკლების პროგრამა გასული წლის სეზონის (2013-2014) შეჯამებაა.

— ვინაიდან პროგრამა ტარდება საერთაშორისო კრიტიკოსთა ასოციაციის ქართული ჯგუფის თანამშრომლობით, მათ მიერ 11 სპექტაკლია რეკომენდირებული. კავკასიისა და შავი ზღვის ქვეყნებიდან — თურქეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან სპექტაკლები იქნება წამოდგენილი, — აცხადებენ ორგანიზატორები.

მათივე ინფორმაციით, ფესტივალს თან ახლავს სემინარები, ვორქშოფები და შეხვედრები.

№126-127. ოთხშაბათი, 2 ივლისი, 2014 წელი.

**სახელმწიფო მართვის სისტემა უაღრესად ფაქიზი და, ამავდროულად, საფრთხილო მექანიზმია. მცირეოდენმა გადაცდომამაც კი, შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიწვიოს. ადამიანის გონება გაცილებით უფრო მოქნილია, ვიდრე ნებისმიერი კანონმდებლობა. ყოვლად წარმოუდგენელია კანონში გათვალისწინებული იყოს რომელიმე მოცემულობის ყველა შესაძლო ვარიაცია, ამიტომაც, ხშირად (დელიკატურად ვიტყვი) პატიოსნებასთან მწყრალად მყოფი ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული, ზოგ შემთხვევაში, უაღრესად საჭირო საკითხის გადაწყვეტა.**

ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანმა მმართველობამ ბევრი მანკიერება დანერგა მმართველობის სისტემაში, მათი აღმოფხვრა არც იოლია და საკმაო დროსაც მოითხოვს, რადგან მოგეხსენებათ, სარეველა ბალახს ყველაზე მძლავრი ფესვები აქვს. უფრო ხშირად პრეტენზიები გამოითქმის სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლოების მიმართ: ვერაღსრულებული სამართალი, არასწორად გამოტანილი განაჩენი და კაცმა რომ არ იცის რა დამსახურებისთვის გამოწერილი უშველებელი პრემიები, ის მცირე ჩამონათვალია, რამაც საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია.

ზოგად საუბარს გვერდზე გადავდებ და მინდა, კონკრეტულ ფაქტებზე ვისაუბრო. მე და რამდენიმე ჩემი კოლეგა „რეპორტიორში" „ინფო-9"-დან მოვედით და კარგად გვახსოვს (ალბათ, თქვენც) ვინმე ალისტრახოსა და მისი მიმდევრების ისტორია, როცა ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდნენ და ყველანაირად გვიშლიდნენ ხელს. ამ ამბის გამოძიების სურვილი უკვე მაშინ გაგვიჩნდა, მაგრამ რიგი გარემოებების გამო ვერ მოვახერხეთ; თუმცა, დღეს უკვე არაფერი გვიშლიდა ხელს და გულდასმით შევისწავლეთ ერთი ვინმე ალისტრახოსა და ამ სახელს ამოფარებული პირების (და ორგანიზაციის) ისტორია.

ჩვენს წინაშე რამდენიმე ამოცანა იდგა: როგორ და რა ვითარებაში მოხდა შპს „ინფო 9"ისა და ი/მ „გიორგი ალთუნაშვილისთვის" (იგივე ალისტრახო) იდენტური ლოგოს მიკუთვნება; ვინ იდგა ამ არარსებული ორგანიზაციის უკან; ამბის კვლევის პროცესში ახალი ინტერესები გამოიკვეთა, რომლებიც არანაკლებ ყურადსაღები აღმოჩნდა; თუმცა, მოდით ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

**ამოცანა პირველი:** როგორ და რა ვითარებაში მოხდა შპს „მეცხრე ინფო-9"-სა და ი/მ „გიორგი ალთუნაშვილისთვის" იდენტური ლოგოს მინიჭება.

ამოცანის ამოხსნა: შპს „მეცხრე ინფო-9"-მ სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადი „საქპატენტში" შეიტანა 2012 წლის 7 აგვისტოს, 9 დღით ადრე, ვიდრე პრაქტიკულად იდენტურ ნიშანზე განაცხადს შეიტანდა ი/მ „გიორგი ალთუნაშვილი".

მოქმედი კანონმდებლობით უნდა მომხდარიყო ამ ნიშნის მხოლოდ შპს „მეცხრე ინფო-9"-ს სახელზე რეგისტრირება, ხოლო ი/მ „გიორგი ალთუნაშვილისათვის" უარი უნდა ეთქვათ.

ირაკლი ღვალაძემ „საქპატენტის" ხელმძღვანელი (გახლავთ) თვითნებურად დაუკანონა „ინფო 9"-ის ლოგოს კანონსაწინააღმდეგო გამოყენება, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში, ფსევდო „ინფო 9"-ის მონაწილე, ცნობილი ალისტრახოს თანამოაზრეებს,რომლებიც ამოეფარენ ი/მ „გიორგი ალთუნაშვილის" სახელს. ეს იყო პოლიტიკური კორუფციის ნათელი მაგალითი. აქ ისმის ლოგიკური კითხვა, თუ როგორ გაიგეს ალისტრახომ და მისმა მეგობრებმა, რომ შპს „ინფო 9"-ს სარეგისტრაციოდ ჰქონდა შეტანილი განაცხადი. პასუხი ერთმნიშვნელოვანია — მხოლოდ და მხოლოდ „საქპატენტის" თანამშრომლების ან ხელმძღვანელის, ირაკლი ღვალაძის მეშვეობით. მათ ჯერ გააგებინეს და შემოატანინეს, შემდეგ კი უპრობლემოდ, კანონის დარღვევით დაურეგისტრირეს სხვისი ნიშანი.

**ამოცანა მეორე:** საქმეში „საქპატენტისა" და მისი ხელმძღვანელის „ამოტივტივება" დაემთხვა საქართველოს მთავრობასა და თბილისის საკრებულოში გახმაურებულ პრემიების ყბადაღებულ თემას. ამას ისიც დაემატა, რომ სრულიად შემთხვევით გაზეთ „ალიას" 26 ივნისის ნომრის რუბრიკაში: ფაქტი, ამბავი, მოვლენა, სათაურით „საჯარო დაწესებულებების შემოსავლების ხარჯები", ასეთი შინაარსის ინფორმაციას წავაწყდი:

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

2013 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" მიერ ინტელექტუალური საკუთრების დამცავი დოკუმენტების გაცემით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6 836 400 ლარი. ცენტრში გასულ წელს შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 3 327 400 ლარის ხარჯი. 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საშტატო ნუსხით ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრულია 104 ერთეულით.

მაშინვე გამკრა გულში: შემთხვევით, ეს პატიოსანი ხალხიც ხომ არ აჰყვა საერთო ფერხულს და სახელმწიფოს ჯიბისკენ ხომ არ გაექცათ ხელი და მადა-თქო.

ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდნენ და აღმოჩნდა, რომ „საქპატენტის" ხელმძღვანელთა „მადა" ბევრი




# ერთი ვინმე ალისტრახოსა და მისი კუდების ამბავი

არაფრით ჩამოუვარდება სხვების უეცრად გაზრდილ მოთხოვნილებებს.

**ამოცანის ამოხსნა:**

„საქპატენტში" დანერგილია პრემირების მანკიერი სისტემა, რომლის მიხედვით ე.წ. ელიტა, რომელიც ძირითადად შედგება ი. ღვალაძის ახლობელი პირებისაგან, წლიურად პრემიებს იღებს 4-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე სხვა თანამშრომლები. ი. ღვალაძის თვიური ხელფასი შეადგენს 3 750 ლარს (ანუ წელიწადში 45 000 ლარი), 2012-ში მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 120 000-მდე ლარი შეადგინა. 2013 წელს ი. ღვალაძემ პრემიის სახით 130 000 ლარი მიიღო. მრავალ კითხვას ბადებს ე. ქემაშვილის ანაზღაურება. 2011-2012 წწ. 9 თვის განმავლობაში მას ორი წამყვანი დეპარტამენტის (იურიდიული და სასაქონლო ნიშნების) უფროსის თანამდებობა ეკავა (ეს ხდება იმ პირობებში, როცა „საქპატენტში", იმ დროს, ჯერ კიდევ მუშაობდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები ნ. ჭავჭანიძე, მ. ფანჩვიძე და სხვ.), იღებდა ორმაგ ხელფასს (2-ჯერ 2200), მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 72 ათას ლარს მიაღწია, ანუ მის წლიურ ხელფასს (26 400 ლარი) თითქმის სამჯერ გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ პრივილეგირებულთა კასტას მიეკუთვნებიან ღვალაძის და მისი მოადგილის ეგუტიას მძღოლებიც. ღვალაძის მძღოლს უკავია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დეპარტამენტში მთავარი სპეციალისტის თანამდებობა (თვიური სარგო 1 350 ლარი), ხოლო ეგუტიას მძღოლს, სპეციალისტის თანამდებობა (1 150 ლარი), ანუ აქვთ მეტი ან იმდენივე ხელფასი, რამდენიც „საქპატენტის" ბევრ კვალიფიციურ თანამშრომელს, მაგ. ექსპერტს ან იურისტს. მაგრამ განსხვავებით „საქპატენტის" ჩვეულებრივი თანამშრომლებისაგან, ისინი იღებენ მრავალჯერად პრემიებს და, შესაბამისად, აქვთ ექსპერტებზე გაცილებით მეტი შემოსავალი.

კიდევ ერთი საოცარი ფაქტი. „საქპატენტის" მცხეთაში გადასვლის შემდეგ თანამშრომლებს სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად ეძლევათ დამატებით 250-250 ლარი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ თანხას იღებენ ღვალაძეც, ეგუტიაც და მათი მძღოლებიც.

პრემიების თემამ ავტომატურად გვიბიძგა „საქპატენტის" მუშაობით დავინტერესებულიყავით და შედეგად გაჩნდა:

**ამოცანა მესამე: რას და როგორ საქმიანობს „საქპატენტი"?**

**ამოცანის ამოხსნა :**

2010 წლიდან, როცა „საქპატენტის" ხელმძღვანელობაში მოვიდა ირაკლი ღვალაძე და მისი გუნდი, პრაქტიკულად განახევრდა ქართველ გამომგონებელთა განაცხადები — თუ 2009 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 256-ს, 2012 წელს რაოდენობა გაუტოლდა 137-ს. გგონიათ, ქართველებს გამოგონების იშტამ გადაუარათ? არა, როგორც გამოირკვა, ამას სულ სხვა მიზეზი აქვს:

**— საფასურების მკვეთრი ზრდა (10-ჯერ) — 700 დოლარი;**

**— „საქპატენტის" გადატანა თბილისიდან მცხეთაში;**

**— გამოცდილი სპეციალისტების დათხოვნა:**

**— საკონსულტაციო და სხვა სერვისების შეწყვეტა.**

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, ამ და სხვა არასწორად გადადგმულმა ნაბიჯებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს რეიტინგზეც ამ კუთხით. კერძოდ, 2010 წლის მდგომარეობით საქართველო პრაქტიკულად ლიდერი იყო რეგიონში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემისა და საინოვაციო სისტემის რეიტინგში. მას მე-100 ადგილი ეჭირა, მაშინ, როდესაც სომხეთი 126-ე, ხოლო აზერბაიჯანი 118-ე ადგილზე იყო. 2013 წლის მონაცემებით კი საქართველო 124-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ხოლო სომხეთი 75-ე ადგილზე გადავიდა. რეიტინგში აღნიშნული ვარდნა ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება იმ არასწორ ცვლილებებსა და ქმედებებს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ღვალაძის დაკომპლექტებული გუნდის მოსვლას 6 თვეში მოჰყვა „საქპატენტის" 150-კაციანი კოლექტივის გამოყვანა საკუთარი შემოსავლებით აშენებული შენობიდან და ამ ორგანიზაციის ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილებების მთელი კასკადი (3-ჯერ), ვიდრე ის არ აღმოჩნდა მცხეთაში.

აქ უნდა ითქვას, რომ ეს შენობა აიგო 1996 წელს (მის გახსნას ესწრებოდნენ ინტელექტუალური საკუთრების გენერალური დირექტორი, ამ სფეროს ლეგენდარული პიროვნება არპად ბოგში და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. რეპორტაჟი გადაიცა ევრონიუსით).

იმავდროულად, პრაქტიკულად უმოქმედო გახდა წლების განმავლობაში დიდი რუდუნებით და სოლიდური სახსრების მობილიზებით შექმნილი „საქპატენტის" ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა, პოლიგრაფიული ბაზა, საკონფერენციო და სასწავლო სივრცე, საგამოფენო დარბაზი (სულ დაახლოებით 1 500 კვ.მ.).

„საქპატენტის" თბილისიდან მცხეთაში გადატანა გახდა სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გამომგონებლებისა და სხვა განმცხადებლებისათვის „საქპატენტთან" უშუალო და ოპერატიული კომუნიკაციისათვის და, შესაბამისად, საკონსულტაციო და საექსპერტიზო პროცედურების ნორმალურად წარმართვისათვის. „საქპატენტის" მცხეთაში გადასვლის შემდეგ სრულიად დაკარგა თავისი ფუნქცია ბიბლიოთეკამ, რომელიც გარდა საბიბლიოთეკო საქმიანობისა, ეწეოდა საკონსულტაციო და საპატენტო-საინფორმაციო მომსახურებას (დაახლოებით 300 ძიება წელიწადში).

**ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება ჯერჯერობით ამ სტადიაზე იმყოფება, თუმცა „საქპატენტისა" და მისი ხელმძღვანელების საგმირო საქმეში „ქექვისას" კიდევ ბევრ, ჩვენთვის, თქვენთვის და კიდევ „ვიღაცებისთვის" საინტერესოს წავაწყდით.**

**ამ ეტაპზე ფაქტების მოწოდებისგან თავს შევიკავებთ, რადგან დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება ჩვენი სტილი არ არის; თუმცა, არც შორ უჯრაში გადადებას არ ვაპირებთ, რადგან დროა, ალისტრახოების ეპოქა დასრულდეს და მეპურეს ხაბაზი დავარქვათ, ფეხსაცმლის მკერავს — მეწაღე, სახელმწიფო ქონების მფლანგველს — ბაცაცა, წარმატებული დარგის დამაქცევარისთვის სახელის მოგონება კი ჩვენი მკითხველისთვისა და სამართალდამცველი ორგანოებისთვის მიგვინდვია.**

**თამაზ ჩიქვანაია**

## ალიანჩალიანი

### ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკაში გაწვრთნილ ძაღლებს გამოიყენებთ

**შს საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური პროექტი (K9) გახსნა.**

**ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველი მოადგილე ქეროლ პერეზი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.**

**როგორც შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, პროექტი მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას. მისივე განმარტებით, კინოლოგიური პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით 2013 წლიდან ხორციელდება.**

**— პროექტის ფარგლებში შს და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძაღლებთან ერთად მუშაობს. ორივე უწყებისთვის შეძენილია 5 სამომსახურეო ძაღლი. ოპერატიული დანაყოფის წევრებმა შეძენილ სამომსახურეო ძაღლებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით გაიარეს 8-კვირიანი მომზადების კურსი. ასევე გაეცნენ თურქეთში არსებულ სისტემას, — აღნიშნა ალექსანდრე ჭიკაიძემ.**

**მინისტრის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ძაღლების 8 მუდმივმოქმედ საცხოვრებელ ვოლიერს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.**

**ინტერპრესი**

№126-127. ოთხშაბათი, 2 ივლისი, 2014 წელი.

**გასულ კვირას თბილისში კლინიკა „იუნივერსის“ ორგანიზებით რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. „ზოგადად მედიცინა ჩვენთან კატასტროფის ზღვარზეა, მთელი რიგი პრობლემების გამო“... — რატომღაც ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა პროფესორ არჩილ ხომასურიძეს, რომელიც კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე და თანაორგანიზატორი გახლდათ. თუ რატომ განეწყო ექიმი ასე პესიმისტურად, ამაზე ქვემოთ გვესაუბრება:**



## არჩილ ხომასურიძე:

# ზოგიერთი ჩვენი კოლეგა ჯენაზანის ლექციის მოსასმენად არც კი მოვიდა

## რატომ არის სამედიცინო მეცნიერება ცუდ დღეში?

— ჩემდა სასიხარულოდ, ამ კონფერენციას კომერციალიზმის სუნი არ უდიოდა და მეცნიერებაზე იყო ორიენტირებული. მე დავპატიჟე იტალიელი პროფესორი **ანდრეა ჯენაზანი,** გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის კორიფე, ასე ვთქვათ, მედიცინის „ლუჩიანო პავაროტი“, № 1 გინეკოლოგი. ჩვენი სტუმრის მოხსენება შეეხებოდა ასეთ თემას: **„ქალის ტვინი და სქესობრივი ფუნქცია“.** მთელი ცხოვრება ამ სფეროს ვემსახურები და, მართალი გითხრათ, ზოგიერთი რამ ვერ გავიგე. ისეთ დონეზე არის განვითარებული მსოფლიოში რეპროდუქტოლოგია, ამ ყველაფერს რომ დავეწიოთ, წლები დაგვჭირდება. ვუსმენდი და ვფიქრობდი, თუ როგორი ჩამორჩენილები ვართ. ეს ჩვენი ტრაგედიაა. ზოგი რამ ვიცოდი თეორიულად, მაგრამ პრაქტიკაში თუ ოდესმე განხორციელდებოდა, ვერ წარმომედგინა.

**— რა არის ამის მიზეზი, ტექნოლოგიური პრობლემები გვაქვს თუ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც მოვიკოჭლებთ?**

— მთელი რიგი პრობლემების გამო: სახელმწიფოს უყურადღებობა, ზოგიერთი სადაზღვევო კომპანიის თავხედური დამოკიდებულება, ფინანსური რესურსების უქონლობა, ექიმების ნაკლები მოტივაცია და ა. შ. არის სხვა მიზეზებიც — სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა.

მთავარი დამნაშავეები, ჩემი აზრით, მაინც ჩვენ — ექიმები ვართ. დაბალ დონეზეა ჩვენი განათლება, კლინიკური კვალიფიკაცია (მართალია, ამაში აბსოლუტურად ყველას როდი ვგულისხმობ და, იმედია, კოლეგები ჩვენს გულისტკივილს სწორად გაიგებენ). თუმცა, სამედიცინო მეცნიერების დაღუპვაში ექიმები მთავარი ფიგურები არა ვართ, რადგან აქ უკვე საქმე ეხება ფინანსებს. ფუნდამენტური სამედიცინო მეცნიერება ძალიან ძვირი ღირს. 10-15 წლის წინათ ამერიკის „ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის“, ფაქტობრივად კი სამედიცინო მეცნიერების სამინისტროს წლიური ბიუჯეტი 11 მილიარდ დოლარს შეადგენდა და მას სახელმწიფო აფინანსებდა. ჩვენი ბიუჯეტი ამას რომ ვერ გაქაჩავს, ალბათ, კარგად გვესმის.

თანაც მინდა, ორი სიტყვით გითხრათ ანდრეა ჯენაზანიზე. ეს უდიდესი მეცნიერი ძალიან სადა და უბრალოა, როგორც ადამიანი. თავმდაბალი, თავაზიანი. დავაკვირდი და ძალიან ბევრჯერ გაიმეორა ფრაზა — „არ ვიცი“. წარმოგიდგენიათ, რომელი ჩემი კოლეგა იტყვის ასეთი მაღალი დონის კონფერენციაზე, არ ვიციო. ჩემს თავსაც ვგულისხმობ, ვიხსენებდი, ნეტა, როდის ვთქვი ბოლოს ეს ფრაზა-მეთქი.კიდევ კარგი, გავიხსენე. იმდენად „დაკავებული“ აღმოჩნდა ზოგიერთი ჩვენი კორიფე-რეპროდუქტოლოგი, რომ ჯენაზანის მოსასმენად არც მოვიდა.

**— არადა, სრულიად საპირისპირო შეხედულება მქონდა, მიმაჩნია, რომ თუ რამე პროგრესულად ვითარდება ჩვენთან — ეს მედიცინაა.**

— განვითარების დინამიკა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მე უფრო ვგულისხმობ სამედიცინო მეცნიერებას. ხანდახან ვამბობ, რომ მედიცინა ავადმყოფი სპეციალობაა, მაგრამ განკურნებადი. არ ვიცი, გამოსწორებას თუ ველირსებით. ალბათ, ეს წაიღებს ძალიან დიდ დროს. თუკი ექიმთა პასუხისმგებლობა უკავშირდება პრაქტიკულ მედიცინას, მეცნიერებაში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს ქმედების წილი. მეცნიერება მატერიალურ რესურსებს უკავშირდება. სადაზღვევო მედიცინაში კი აღვირახსნილად შემოიჭრა კომერციალიზაცია, რაც ყოვლად მიუღებელია. ზოგიერთი ჩემი კოლეგა პაციენტს უნიშნავს წამალს, რომელიც მას არ სჭირდება (ეტყობა, მოქრთამულია ფარმაცევტული კომპანიის მიერ). მეტიც, მაგალითად, ქალს უკეთებენ ოპერაციას, რომელიც მას არ სჭირდება (ჩვენს სფეროს ვგულისხმობ). კომერციალიზაციის გამოვლინება ჰიპერდიაგნოსტიკაა, ანუ არ სჭირდება ამდენი ანალიზი, გამოკვლევა და მაინც აიძულებენ...

**— ბატონო, არჩილ, ძალიან ხმამაღალ ბრალდებებს ამბობთ. ასეთი რამე მეც მსმენია, თუმცა, დაჯერება მიჭირს...**

— პასუხს ვაგებ ყველა ჩემს სიტყვაზე...

**— თქვენს კლინიკასაც ხომ არ გულისხმობთ?**

— ჩვენს „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“ ეს გამორიცხულია, ვინაიდან აქ არიან ენთუზიასტები, მოტივირებული ექიმები, რომლებიც ცდილობენ დაამსხვრიონ ასეთი კომერციალიზაცია და მიმართული იყონ პაციენტის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე.

შეცდომა შეიძლება ნებისმიერ ექიმს მოუვიდეს, თუმცა, ის არ უნდა იყოს ფატალური.

ჩვენი სპეციალობა ტურბულენტურად ვითარდება. თავის დროზე ჩემი ინიციატივით შემოვიდა საქართველოში ლაპარასკოპია — ოპერაცია გაჭრის გარეშე. იცით, როგორი წინააღმდეგობა შემხვდა კოლეგებისგან. იგივე ბედი ხვდა კონტრაცეფციის დანერგვას, ინვიტრო განაყოფიერებას და ა. შ.

**— რას იტყვით ახალ თაობაზე? ბევრჯერ გამიგია საყვედური იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოები არ ვარგა, კარგად არ არის თარგმნილი წიგნებიო და ა. შ.**

— ის, რომ სტუდენტებმა ბევრი არაფერი იციან, უპირველესად მათი ბრალია. ნაკლებად უნდათ სწავლა. საკმაოდ დიდი ნაწილი ინფანტილურია. ზოგიერთი მერე ცხოვრებაში სწავლობს რაღაცას... მაგრამ, ჩვენც არ ვვარგივართ, პედაგოგები.

**— რატომ, ხელს რა გიშლით?**

— ჩვენი კვალიფიკაცია, როგორც ლექტორისა და მასწავლებლისა თავის დროზე ისე არ ავიმაღლეთ, როგორც საჭირო იყო. სახელმძღვანელოებს რაც შეეხება, რაღა შორს წავიდე, ჩემი პირადი უპასუხისმგებლობაც არის იმაში, რომ კარგი კომპლექსური სახელმძღვანელო ვერ დავწერე. არადა, ამის ყველანაირი საშუალება მქონდა.

ახლა ჩემი მთავარი მოწადინებაა, რომ სტუდენტს ჰქონდეს კონტაქტი პაციენტთან. ამის მიღწევა ძნელია, რადგან ფულს პაციენტი იხდის და მას სტუდენტის გასინჯვა სულაც არ უნდა, თუმცა, ჩემს ინსტიტუტში მაქსიმალურად ვცდილობ, რომ პაციენტის თანხმობას მივაღწიოთ. ასეთი რამე სხვა კლინიკებში თითქმის არ ხდება. ჩვენი სტუდენტების პრიორიტეტი კი ეს არის. სტუდენტი ვერასოდეს გახდება ექიმი, თუ მას პრაქტიკა არ ექნება. თეორიასთან ერთად, ეს აუცილებელი პირობაა.

**— ორი სიტყვით მინდა, გკითხოთ ყბადაღებულ თეორიაზე, რომ თითქოს სამედიცინო სფეროს მენეჯერი არ არის აუცილებელი, იყოს ექიმი.**

— მართლაც არ არის აუცილებელი. კარგი იქნება იყო ექიმიც და მენეჯერიც. თუმცა, ჩემი მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მე ვერ ვივარგე მენეჯერად... ასე რომ არ ყოფილიყო, ისეთ შეცდომას არ დავუშვებდი, რაც ჟორდანიას ინსტიტუტის ხელმძღვანელობისას მომივიდა. სამედიცინო მენეჯმენტი უაღრესად აქტუალურია. მე პასუხისმგებლობა მქონდა აღებული კოლექტივის წინაშე, ამიტომაც ვალდებული ვიყავი, უზრუნველმეყო ინსტიტუტის გამართული მუშაობა. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, იმის გამო, რომ მოვტყუვდი და ვენდე არაპროფესიონალებს, ზიანი მიადგა ჟორდანიას მიერ დაარსებულ ინსტიტუტს, შეცდომის უფლება კი არ მქონდა, ვინაიდან ჟორდანიას ინსტიტუტი იყო ქვეყნის და ისტორიის საკუთრება!

**— თუმცა, ღირსეულად აგრძელებთ იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს, ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“. წარმატებებს გისურვებთ!**

ესაუბრა
**თეა მოსია**

ⓞ შორი გზა

# რამდენი წელი აშორებს ქართულ პროდუქციას ევროპამდე

**აკმაყოფილებს თუ არა ქართული წარმოება ევროპულ სტანდარტებს და რა შედეგი შეიძლება ამით მიიღოს ქვეყანამ მოკლე პერიოდში? მეწარმეები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ვიდრე ექსპერტები. საუკეთესო ვადად 2-3 წელი სახელდება, შეიძლება, ცოტა უფრო მეტიც.**

ევროპასთან ეკონომიკურ ასოცირებაზე ილიას უნივერსიტეტმა კვლევა ჩაატარა: კომპანიების 55% მიიჩნევს, რომ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. მეწარმეების უმრავლესობა ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ ინვესტიციების გააქტიურებას და დანახარჯების ზრდას ელოდება, სახელმწიფოს მხრიდან კი დაფინანსების მოძიებაში მხარდაჭერის მოლოდინი აქვთ.

**გამოიკითხა საქართველოში მოქმედი 44 სხვადასხვა პროფილის კომპანია, მათ შორის, მცირე (38%) და მსხვილი კომპანიები (62%). სექტორების მიხედვით პროცენტული მაჩვენებლები ასეთია:**

**უალკოჰოლო სასმელები — 23%; კვების პროდუქტები (თაფლი,კონსერვები) — 25%; ალკოჰოლური სასმელები — 17%; პირველადი ფერმერული მეურნეობები (ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული, მწვანილი) — 10%; ენერგეტიკული კომპანიები — 4%; მძიმე ინდუსტრია — 4%; მსუბუქი მრეწველობა — 9%; ფარმაცევტულიკომპანიები — 9%.**

**კომპანიების 55% მიიჩნევს, რომ აკმაყოფილებენ ევროკავშირის მოთხოვნებს და მზად არიან ევროკავშირის ბაზარზე აქტიურად შესვლისთვის. 45% კი აღიარებს, რომ მათ ევროსტანდარტების დაკმაყოფილებამდე გარკვეული ცვლილებები და ახალი სტანდარტების დანერგვა, გადაიარაღება სჭირდებათ.**

**რაც შეეხება მოლოდინს. გამოკითხული კომპანიების 28%-ს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხოლოდ სარგებლის მიღების მოლოდინი აქვს, კომპანიების 45% უფრო ზომიერია შეფასებაში და მიიჩნევს, რომ უფრო მეტი სარგებელი იქნება, ვიდრე დანაკარგი, 21%-ის აზრით, დანაკარგი უფრო მეტი იქნება, მხოლოდ 6% უყურებს სკეპტიკურად და ფიქრობს, რომ ცალსახად დანაკარგებთან გვექნება საქმე.**



კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მეწარმეების უმრავლესობა ელოდება ინვესტიციებისა და რეალიზაციის ზრდას, ასევე კონკურენციის გაძლიერებას ადგილობრივ ბაზარზე.

კვლევიდან აშკარად ჩანს, რომ მეწარმეები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, თუმცა, რეალობა სურვილს ბოლომდე არ ემთხვევა. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალური მდივანი ზვიად ჭუმბურიძე ამბობს, რომ ევროპის ბაზარზე გასასვლელად მზად პროდუქციის მხოლოდ 20%-ია.

**„ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესი არის ის, რომ ქართულ ბიზნესს, კონკრეტულად ქართულ კომპანიებს მიეცეთ საშუალება დაიწყონ აქტიური ბიზნეს მოღვაწეობა ევროპულ ქვეყნებში. ჩემი ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნქციაა, შეისწავლოს, თეორიული მასალა ჰქონდეს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ბიზნესი. ბევრი კომპანია უკვე ოპერირებს ევროპის ბაზარზე და საკმაოდ წარმატებულად, მაგრამ რეალურად, მე მაინც ვიტყოდი, რომ 20 პროცენტია მზად და დანარჩენს კიდევ სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი, რომ ევროპულ ბაზარზე მოხვდნენ. ევროპაში ხარისხია ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი და ეს ხარისხი ჩვენმა კომპანიებმა უნდა დახვეწონ.**

**ქართული პროდუქციის კონკურენტულობაზე როცა ვსაუბრობთ, ეს საკმაოდ რთული იქნება. უნდა ვთქვათ, რომ სირთულეები გვექნება. ერთ წელიწადში ჩვენ ვერ შევძლებთ ევროპულ ბაზარზე ფართო მასშტაბით გასვლას. შეიძლება, დაგვჭირდეს 2-3 წელიწადი, შეიძლება დაგვჭირდეს ცოტა მეტიც. კარგი ის არის, რომ ის კომპანიები, რომლებიც უკვე ოპერირებენ, მათ გაცილებით მეტი ინტენსიობით შეეძლებათ ამ ბიზნესკონტაქტების განვითარება“, —** აცხადებს ზვიად ჭუმბურიძე.

შპს „აგროტეკის“ დამფუძნებელი ირაკლი ნადარეიშვილი კი ამბობს, რომ პირველ რიგში, საჭიროა ევროპული სტანდარტების, ტექნოლოგიების დანერგვა, რითიც იწარმოება იქ პროდუქცია.

**„ხვალიდან ასპროცენტიან წარმატებას ვერცერთი სფერო ვერ მიაღწევს. სოფლის მეურნეობა არის ის დარგი, რომელსაც ყველაზე მეტი ძალისხმევა, ყველაზე მეტი შრომა დასჭირდება. ჩვენ უნდა ველოდოთ გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგებს და არა მოკლევადიან პერსპექტივაში გამოწვევებს. უნდა იყოს დაფინანსება აქტიური სახელმწიფოდან ამ სფეროში, რომ დავიწყოთ განვითარება, ქართული ბაზარი გვაქვს ჯერ ასათვისებელი“,** — ამბობს ირაკლი ნადარეიშვილი.

**დანიელ ბექაური**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არის კი ევროპა მზად, შეიბოჭოს თავი ვალდებულებებით?

**27 ივნისს უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, რომელშიც ასევე შედიან საქართველო და მოლდოვა. შედეგად, ამ ქვეყნების ეკონომიკა დაუახლოვდა ევროპას, როგორც არასოდეს წინათ. შეთანხმების მომხრეებს იმედი აქვთ, რომ იგი დაეხმარება ქართველებს, არ დაემორჩილონ რუსეთის იმპერიულ მისწრაფებებს. მაგრამ, მათი ოპტიმიზმის მიუხედავად, რუსეთი აღწევს გარკვეულ წარმატებებს. მოქმედი მთავრობა, რომელიც 2012 წელს აირჩიეს და, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოში ყველაზე მდიდარი კაცი ბიძინა ივანიშვილი, მიისწრაფის ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ რუსეთთან და არა ევროკავშირთან.**

დასავლეთი ქართველების გაწბილებას იწვევს. მათი მისწრაფება ინტეგრაციისკენ აღმოჩნდა ამაო. ნატოში შესვლა გადაიდო, შარშან კი, როდესაც მთავრობამ მოახდინა ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება, რაც მოიცავდა, აგრეთვე, შეთანხმებას ყოვლისმომცველი ვაჭრობის გაღრმავების შესახებ, ქართველები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის დაახლოებით 350 კანონის მიღებაზე ვაჭრობის, მომხმარებელთა და გარემო ბუნების დაცვის სფეროში.

ამ დროს, რუსეთი აწყობს საქართველოზე იდეოლოგიურ თავდასხმას. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საბჭოთა პერიოდში ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უძლიერესი სიმბოლო იყო, მხარს უჭერს რუსეთთან ისტორიულ კავშირურთიერთობებს, მისი ელიტის ბევრი წარმომადგენელი სწავლობდა მოსკოვში. მართალია, ეკლესია აცხადებს თავისი გეოპოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ ოპოზიცია ევროკავშირის ზოგიერთ პრინციპის გამო, ფაქტობრივად, წარმოშობს მწვავე აზრთა სხვადასხვაობას ევროკავშირის ინტეგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. 2011 წელს ეკლესია გამოვიდა წინააღმდეგი კანონისა და სხვა რელიგიური დაჯგუფებებისათვის თანაბარი სამართლებრივი და საგადასახადო სტატუსის მინიჭების შესახებ. ეკლესიის ხელმძღვანელობა აშკარად საუბრობს იმის შესახებ, რომ ქართველები არ უნდა სწავლობდნენ საზღვარგარეთ. 2013 წლის მაისში ათობით ათასი დემონსტრანტი მღვდლებისა და მართლმადიდებელი აქტივისტების ხელმძღვანელობით, ქვებს ისროდნენ ანტიდისკრიმინაციული კანონის მომხრეთა მიმართულებით. პატრიარქი და ეკლესიის მაღალი რანგის მოღვაწეები რეგულარულად მოუწოდებენ რუსეთთან კავშირურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ, განსაკუთრებით, თუ ეს მიგვიყვანს თვითგამოცხადებული რეგიონების დაბრუნებასთან.

მართალია, ქართული ინტელიგენცია თავის ქვეყანას ტრადიციულად მიიჩნევს ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად, დასავლეთის ქვეყნების რეპუტაციით საქართველოს მიაყენეს ძლიერი დარტყმა წარმოდგენით იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები და ევროკავშირი სრულიად არაკრიტიკულად უჭერდნენ მხარს ყოფილ მმართველ პარტიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. უეჭველია, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკურ რეფორმებში არის ბევრი საქებარი რამ. მაგალითად, მისმა მთავრობამ გადაწყვიტა თავი დაეღწია კორუფციისაგან, განახორციელა რეფორმები საგზაო პოლიციაში, რომელიც მცირერიცხოვანია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიციური ძალა თავისი შერყეული რეპუტაციების გამო, ვინაიდან იგი აწარმოებდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსყიდვას და მთელი რიგი თვეების განმავლობაში საქართველოს გზებზე საერთოდ არ ყოფილან პოლიციელები. შემდეგ რეფორმატორებმა განახორციელეს მეტად აშკარა კამპანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ახალი თანამშრომლების მოზიდვისთვის. ისინი მოგზაურობდნენ ქვეყანაში ცნობილ პიროვნებებთან ერთად და აწყობდნენ კანდიდატების გამოკითხვას ტელევიზიით. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თანამშრომლების მოზიდვას მიმზიდველი გარეგნობით, ვინაიდან საზოგადოებაში ჩამოყალიბდა საგზაო პოლიციელთა სტერეოტიპი, როგორც მოხუცებისა დიდი ღიპებით. 2004 წლის აგვისტოში ახალი საპატრულო სამსახური შეუდგა მუშაობას შენობებში, რომლებიც მინებისგან იყო აშენებული, რითაც ავლენდნენ თავიანთ გამჭვირვალობასა და ღიაობას.

მიხეილ სააკაშვილის საბაზრო ეკონომიკურმა რეფორმებმა მიგვიყვანა ინვესტიციების გაზრდასთან და ზრდის სტიმულთან, რის გამოც მსოფლიო ბანკმა 2006 და 2008 წლებში საქართველოს მსოფლიოში წამყვანი რეფორმატორი უწოდეს, დააყენეს იგი მნიშვნელოვან მეცხრე ადგილზე ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსში. მაგრამ რეფორმების საშუალებით ვერ მოხერხდა სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის შემცირება. უმუშევრობა დარჩა წინანდელ 15 პროცენტზე და ყველა ოჯახების თითქმის ნახევარი საქართველოში კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ქართველებმა სააკაშვილის რეჟიმის ასოცირება მოახდინეს ეკონომიკურ სირთულეებთან და უბედურებებთან.



მართალია, ევროკავშირი და სხვა დასავლელი ორგანოები რეგულარულად აქვეყნებდნენ კრიტიკულ მოხსენებებს სააკაშვილის მთავრობის შესახებ, საქმე იშვიათად მიდიოდა პოლიტიკურ ზემოქმედებამდე და კრიტიკამდე უმაღლეს დონეზე. ამჟამად დასავლეთმა გადაწყვიტა გააკრიტიკოს მმართველი პარტიის მოქმედებები, რომელიც აპატიმრებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელებს, ასეთ მოქმედებებს უდებენ პოლიტიკურ სარჩულს. ქართველებს მიაჩნიათ, რომ ეს არის დაბრკოლება სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის. „ხალხი გრძნობს, რომ ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები იცავენ თავიანთ პრესტიჟს იმის ნაცვლად, რომ იფიქრონ სამართლიანობის შესახებ“, — ამბობს მეორე საზოგადოებრივი არხის გენერალური პროდიუსერი დოდო შონავა.

შარშან თანდათანობით იზრდებოდა იმ ხალხის რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ევროკავშირში შესვლის იდეას, ხოლო, ვინც მხარს უჭერდა რუსეთს — შეადგენდა 11-დან 16 პროცენტამდე. ვიღაც ამბობს, რომ ამ მხარდაჭერის დონე გაიზრდება, თუ რუსეთი დაგვპირდება, დაუბრუნოს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონები. **„გამოყოფილი რეგიონების დაბრუნება იმდენად მნიშვნელოვანია ეროვნული ფსიქოლოგიისათვის, რომ ბევრი მზადაა, უარი განაცხადოს სხვა მისწრაფებებზე, ვთქვათ, ნატოში შესვლაზე, ოღონდაც დაიბრუნონ ეს ტერიტორიები“,** — ამბობს დამოუკიდებელი ჟურნალის „ლიბერალის“ გამომცემელი შორენა შავერდაშვილი.

ამავე დროს, დასავლეთის უუნარობის გამო — მიანიჭოს ქართველებს უსაფრთხოების წონადი გარანტიები — ისინი სავსებით გასაგები მიზეზით იწყებენ ნერვიულობას. ყირიმის ანექსია და კონფლიქტი უკრაინის სხვა ოლქებში ქართველებში იწვევს ახალ შიშს: ვაითუ, შემდეგნი ჩვენ ვიყოთ? და მათ აქვთ საფუძველი შეშფოთებისათვის. უკრაინის კრიზისმა ევროკავშირში გააძლიერა შიში თავიანთ ნაკლოვანებათა გამო, რომ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებს (უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს), მაგრამ იქ არ არის ერთიანი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებებია საჭირო. დღემდე არ არსებობს ამ ქვეყნების ევროკავშირში შესვლის კონკრეტული გეგმები. ამას გარდა, ევროკავშირს არ შეუძლია განახორციელოს ფულადი სახსრების (ქრთამებისაც) სწრაფი გადაგზავნები, როგორც ეს რუსეთს შეუძლია.

**თუ ევროკავშირი არ არის მზად პრაქტიკულად გააფართოოს წევრობა აღმოსავლეთის მიმართულებით, საქართველომ და ევროპამ აუცილებლად უნდა მოახდინონ თავიანთი მიზნების გარკვეული კორექტივები. ევროპას შეუძლია, დაეხმაროს საქართველოს, შეინარჩუნოს, ყურადღება რეფორმების პროცესისადმი. ბრიუსელმა კვლავაც უნდა გაზარდოს შეთანხმებები ასოციაციის შესახებ. მან უნდა განამტკიცოს აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კავშირის გაფართოებას ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებთან სხვადასხვა მიმართულებით. ამას გარდა, მან დროთა განმავლობაში უნდა მიანიჭოს საქართველოს ისეთივე პრივილეგირებული უფლებები, რითაც სარგებლობენ ნორვეგია და შვეიცარია. საჭიროა, სხვაგვარი დახმარებაც, ვთქვათ, ინფრასტრუქტურის შექმნასა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაში. ამავე დროს, ქართველებმა უნდა გადასინჯონ საკუთარი მოტივაცია რეფორმების დინამიკაში. საქართველოს სჭირდება პოლიტიკა, რომელიც იბრძვის კანონის უფლებისათვის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისათვის, არა იმიტომ, რომ ეს დააჩქარებს ევროკავშირში შესვლას, არამედ იმიტომ, რომ ეს სიკეთეა ქართველებისთვის.**

FP
Foreign Policy

## დედამიწის ზურგზე



### ნატოში მიიჩნევენ, რომ უკრაინულ თვითმფრინავებს აფეთქებენ რუსეთიდან მიწოდებული იარაღით

ევროპაში ნატოს ძალების სარდალმა შეაქო თავისი მოკავშირეები, რომლებთან ურთიერთობასაც საფუძველი ჩაეყარა 70 წლის წინათ ნორმანდიის სანაპიროზე, და განაცხადა, რომ ალიანსმა უნდა გადახედოს თავისი პოზიციები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს უკვე აღარ განიხილავენ, როგორც პარტნიორს. მისი აზრით, ნატოს დაჯგუფებების მეტი შემცირება უკვე აღარ შეიძლება.

### ევროსაბჭოს საბჭომ შეაფასა რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის ოთხი მოთხოვნის შესრულება აღმოსავლეთ უკრაინაში დეესკალაციის სიტუაციასთან დაკავშირებით



ევროკავშირის სამიტმა 27 ივნისს, უკრაინასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ჩამოაყალიბა ოთხი მოთხოვნა რუსეთისადმი, დაგვპირდა, რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ივნისის ბოლომდე განხილული იქნება ახალი სანქციების შემოღების შესაძლებლობა. „საბჭო იწყებს ვითარების შეფასებას“, — გაგვაფრთხილა პრესმდივანმა კეტრინ ეშტონმა.

### პოროშენკომ შეაჩერა დონბასში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი

„ჩვენ შევუტევთ და გავათავისუფლებთ ჩვენს მიწას“, — საიტს მოჰყავს უკრაინის პრეზიდენტის ციტატა მისი ხალხისადმი მიმართვიდან. „მივმართავ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ყოველ მცხოვრებს თხოვნით, გაგებით მოეკიდონ ჩემს გადაწყვეტილებას. გთხოვთ, გახდეთ ჩვენი მოკავშირეები დონბასში უსაფრთხოების დაბრუნებაში“, — აღნიშნა ამასთან ერთად პრეზიდენტმა.



◉ „მასტერა“ დაკავებულია

# ნაციონალი მკვლელები

**გიორგი დგებუაძე იგივე „მასტერა“ დაკავებულია. For.ge-ს ინფორმაციით, ინტერპოლის მიერ ძებნილი კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დაახლოებით ერთი კვირის წინ, ჰოლანდიაში დააკავეს. ამჟამად იგი საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება. დაწყებულია მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხის განხილვის პროცესი. დგებუაძის დაკავების შესახებ ინფორმაცია for8ge-ს მთავარი პროკურატურის სამართლებლივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩილინგარაშვილმა დაუდასტურა.**

**„გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ ნამდვილად დაკავებულია. მისი დაკავება ჰოლანდიაში მოხდა. დაახლოებით ერთი კვირის წინ დააკავეს. რისთვისაც ის იძებნებოდა ეს არის ნავთლუღის სპეცოპერაცია და მეორე საქმე, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტს აქვს, ეს არის კონკრეტული პირის მიმართ არაადამიანური მოპყრობა. ეს მასალები ჩვენ მივაწოდეთ ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებს. ამ მასალების საფუძველზე მოხდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა და მოხდა მისი დაკავება. ამ ეტაპზე მისი ექსტრადიციის საკითხი განხილვის პროცესშია. ის იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი ჩილინგარაშვილი.


DGEBUADZE, GIORGI
WANTED BY THE JUDICIAL AUTHORITIES OF GEORGIA
IDENTITY PARTICULARS

| | |
|---|---|
| Present family name: | DGEBUADZE |
| Forename: | GIORGI |
| Sex: | Male |
| Date of birth: | 17/06/1968 (44 years old) |
| Place of birth: | Georgia |
| Language spoken: | Georgian |
| Nationality: | Georgia |

დათა ახალაიას მარჯვენა ხელმა გიორგი დგებუაძემ საქართველო არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა. „მასტერა“ საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც ზონდერ ჯგუფების ხელმძღვანელი. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილი (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

გარდა ამ საქმეებისა, დგებუაძე ასევე ფიგურირებს რეინჯერ დავით ცინდელიანის, თავდაცვის სამინისტროს მზვერავის პაატა ქარდავას და ბათუმელი მზვერავის როინ შავაძის მკვლელობის საქმეში. როგორც შავაძის ადვოკატი როინ პაპიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, 15 აგვისტოს, მკვლელობიდან ერთი დღით ადრე დათა ახალაიას დავალებით ადგილზე ჩასული იყო გია დგებუაძე იგივე „მასტერა“.

მოკლული მზვერავის მეუღლე ციცინო შავაძე ამბობს, რომ ლიკვიდაციის ბრძანება უმაღლესი თანამდებობის პირებისგან იყო გაცემული.

**„არის ინფორმაცია, რომ დათა ახალაიას და ვანო მერაბიშვილის ბრძანება იყო. ზემოდან რომ არ ყოფილიყო ბრძანება, არ არსებობს, რომ კუდ-ის და სოდ-ის თანამშრომლებს საკუთარი ინიციატივით მოეკლათ. ფაქტია, რომ ვიღაცის დავალებით მოკლეს. აჭარის კუდ-ის უფროსი თემურ პატარიძე იყო შემთხვევის ადგილზე, ხალხმა დაინახა. ამბობენ, რომ ამ მკვლელობაში მერაბიშვილის ბრძანებით მონაწილეობდნენ ოლეგ მელნიკოვი, დათა ახალაია, თემურ პატარიძე, გია დგებუაძე იგივე „მასტერა“ და კუდ-ის თანამშრომლები, რომლებმაც აღიარეს, რომ ვესროლეთო“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ციცინო შავაძემ.

რაც შეეხება დათა ახალაიას, როგორც მთავარი პროკურატურის სამართლებლივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი ჩილინგარაშვილი აცხადებს, ბერძნულმა მხარემ მოითხოვა დამატებითი მტკიცებულება და სწორედ ამ დოკუმენტების მიწოდების შემდეგ განახლდება საექსტრადიციო პროცედურა.

„ბატონი ახალაია კვირაში ერთხელ ცხადდება ათენის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში. მისი ექსტრადირების გადაწყვეტილება სავარაუდოდ მიღებული იქნება შემდეგ პროცესზე, რომელიც უნდა ჩატარდეს დაახლოებით ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. ანუ, მას შემდეგ, რაც ჩვენს მიერ დამატებითი დოკუმენტაცია წარედგინება ბერძნულ მხარეს, რომელიც საქართველოსგან გამოითხოვა.

**— კონკრეტულად რა მასალები გამოითხოვა ბერძნულმა მხარემ? თავის დროზე, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი ბერძნულმა მხარემ იმ მოტივით არ გადმოსცა საქართველოს, რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ბერძნული კანონმდებლობით იყო ხანდაზმული...**

— განხილვის იმ ეტაპზე არ მისულა საქმე სადაც ამ საკითხზე იქნებოდა მსჯელობა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა კატეგორიის დანაშაული იყოს ხანდაზმული, ან შეიძლება არა. ეს დამოკიდებულია ბერძნულ მხარეზე, რომლის მოცემულობას ვერც საქართველო და ვერც საბერძნეთი ვერ შეცვლის. როდესაც ექსტრადიციის საკითხი იხილება, მხედველობაში მიიღება ორივე ქვეყნის ხანდაზმულობის ვადები. ჩვენთან ეს დანაშაულები არ არის ხანდაზმული.

რაც შეეხება იმას, დამატებით თუ რა მასალები გამოითხოვეს ბერძნებმა, ეს მიმოწერა არაა საჯარო. არის გარკვეული სახის დამატებითი დოკუმენტაცია, ვიდრე ეს მოითხოვება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით. ის რაც მოითხოვება ევროპული კონვენციით, ეს მასალები მიწოდებული გვქონდა, თუმცა, პროცესზე წარმოიშვა სხვა ახალი გარემოებები, რაღაცა საკითხები სადავო გახადა ბატონმა ახალაიამ და შესაბამისად, ამის გასაქარწყლებლად ბერძნულმა მხარემ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია.

**— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რა საკითხები გახადა სადავო ახალაიამ?**

— პროცესზე მან განაცხადა, რომ მას ეს დანაშაულები, რომელშიც ის ბრალდებულია, არ ჩაუდენია და იგი არის პოლიტიკური დევნილი. თუმცა, ამის გასაქარწყლებლად ჩვენ შესაბამისი დოკუმენტაცია მიწოდებული გვქონდა ბერძნული მხარისთვის, მაგრამ დამატებითი მასალები მოგვთხოვა, რაც ბუნებრივი პროცედურაა. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია ითვალისწინებს დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნის საჭიროებას.

**— მასალები, რომელიც თქვენ გადააგზავნეთ საბერძნეთის სასამართლოში, რამდენად არის მყარი და არგუმენტირებული და რამდენად გაქვთ მოლოდინი იმისა, რომ ამ მასალების საფუძველზე მოხდება დათა ახალაიას ექსტრადირება საქართველოში? თუ არის ამ საქმეებს შორის იგივე ნავთლუღის სპეცოპერაციის დეტალები...**

— ყველა იმ სისხლის სამართლის საქმის შესახებ არის ინფორმაცია მიწოდებული ბერძნული მხარისთვის, რომელშიც ახალაია არის ბრალდებული. ეს არის ნავთლუღის ეპიზოდი, სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი, აბულაშვილის გატაცებისა და ცემის ეპიზოდი, ასევე მოდულის შენობაში პოლიციელების ცემის ეპიზოდი. ყველა ამ საქმის ბრალდების ამსახველი დოკუმენტაცია მიწოდებული აქვს ბერძნულ მხარეს. ექსტრადიციის შუამდგომლობაც არის დასაბუთებული, მსგავსი სახის დოკუმეტაციას არა თუ ჩვენ, არამედ ევროპის ქვეყნებიც არ აგზავნიან. ეს არის საკმაოდ სრულყოფილი საქმე, დეტალებში არის ყველა ის ბრალდება, რაშიც დათა ახალაიას ბრალი ედება.

**თამთა ქარჩავა**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

◉ ალიანჩალიანი



## 4 ივლისის ჩათვლით, რიკოთის გვირაბში ღამის საათებში მოძრაობა აიკრძალება

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში გეგმური დასუფთავების სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით 1, 2, 3 და 4 ივლისს, ღამის 00:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე, იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე.**

**კლიმატური პირობების გაუარესების შემთხვევებში, ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გვირაბის გავლით 24 საათის განმავლობაში.**

**გვირაბის მოვლის ფარგლებში, გეგმური დასუფთავების სამუშაოები წელიწადში 2-ჯერ ტარდება.**

## ავტოსაგზაო შემთხვევა თელავში მსხვერპლით დასრულდა

**ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მსუბუქი ავტომანქანის მოცურებისას მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ქვეითად მოსიარულე 67 წლის ქალს შეეჯახა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქალი რამდენიმე მეტრზე გადაისროლა. თავის დახურული ტრამვითა და მრავლობითი დაზიანებებით ის თელავის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.**

**შემთხვევის ადგილი ექსპერტ-კრიმინალისტებმა დაათვალიერეს. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი პოლიციამ დაკითხვაზე გადაიყვანა.**

## მაშველებმა იყოჩაღეს

**სამსაათიანი სამაშველო სამუშოების შემდეგ, საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებმა მდინარე ალაზანში, ორ დინებას შორის ჩარჩენილი 63 წლის ჯონდო ფარეულიძე გამოიყვანეს.**

**როგორც ფარეულიძე აცხადებს, მდინარე ალაზანი მაშინ ადიდდა, როდესაც შეშის შესაგროვებლად იმყოფებოდა. სამაშველო სამუშაოების ადგილზე იმყოფებოდა კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილიც.**




**ძლიერი წვიმის შედეგად პანკისის ხეობაში მდინარე ალაზანი ადიდდა. გარესამყაროს მოწყვეტილია პანკისის ხეობის 4 სოფელი. ადგილზე მობილიზებულია ტექნიკა და მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.**

**ინტერპრესი**

## განცხადება

**2014 წლის 22 აგვისტოს დღის 14 საათზე შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ადმინისტრაციის შენობაში, ქ. თბილისი, გამრეკელის ქუჩა №19-ში, გაიმართება აეროპორტის ღობესა და ლოჭინის ხევს შორის მდებარე (ნაკვეთის №009/006, საკადასტრო კოდი — 01.19.26.009.006) ნავთობპროდუქტების საცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქვეყნის საწარმოებისათვის ნავთობპროდუქტების მიწოდება.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

● ქ. თბილისი, გამრეკელის ქუჩა №19, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ადმინისტრაცია:

● ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12. შპს „გუკა“.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:

● ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19. შპს „რომპეტროლ საქართველო“;

● ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12, შპს „გუკა“.

**საკონტაქტო პირი: სალომე ჯოჯუა, ტელ: 599 03 90 40**
**გენადი უბირია ტელ: 579 02 01 10**

**მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2014 წლის 16 აგვისტომდე.**

**შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ადმინისტრაცია.**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ობიექტის სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა 400 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიკაანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 170 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიკაანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1,7 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,17 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 200,3 ლარი |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; |
| | | ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>თ) ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში უნდა მოხდეს წყლის მარაგების გამოთვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>ი) უნდა განხორციელდეს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;<br>კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ლ) უნდა განხორციელდეს წყაროს შემოღობვა და კაპტაჟის მოწესრიგება;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყალაფორეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა (წყარო) მინერალური (ჩამოსასხმელი) წყალი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 548 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყალაფორეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №18** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „მტკვარი ენერგიას" შორის 2013 წლის 23 აგვისტოს მდ. მტკვარზე ჰესების კასკადის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლაზე გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 273 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 36 686 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 668,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 537 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №19** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). |

| | | |
|---|---|---|
| | | გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 9 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 565 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 156,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 513 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №20** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) კარიერის დამუშავება უნდა მოხდეს, ქვეყანაში მოქმედი, სამთო ობიექტზე მიღებული, უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხორენიას მიმდებარე ტერიტორია, „ხორენიას“ დაციტის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 28 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხორენიას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 552 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 455,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 110 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №21** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 91 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 765 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 176,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 553 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 4 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

⊙ მუნდიალი – 2014

# კლასი, ძამიკო, კლასი!

**ქი ვამბობთ, „ძველმა სამყარომ“ ბრაზილიურ მუნდიალზე ჩაიიმასქნაო, მაგრამ მსოფლიო ფორუმზე ერთი ევროპული მეოთხედფინალური წყვილი მაინც გამოცხვა. თანაც, როგორი! გერმანია – საფრანგეთი, რომ იტყვიან, კლასიკას განეკუთვნება.**

არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, როგორც სამფეროვნები, ისე მათი მომავალი მეტოქენი აფრიკელებთან გამართულ პლეი-ოფში შერცხვენილიყვნენ და სამშობლოში ვადამდე დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ უფრო მაღალმა კლასმა უშველათ.





განსაკუთრებით გაუჭირდა ალჟირელთა წინაღობის დაძლევა ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ იოაჰიმ ლიოვის გუნდს, რომელსაც მხოლოდ დამატებით დროში სძლია – 2:1 (შურლე, იოზილი; ჯებუ).

ბევრს, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რომ აქამდე ეს ნაკრებები ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ და ორჯერვე აფრიკელებმა იმარჯვეს, მათ შორის ერთხელ – ესპანეთში 1982 წელს მოწყობილი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის დაუვიწყარ შეხვედრაში – 2:1 (მაჯერი, ბელუმი; რუმენიგე). ასე რომ, ნურავის გაუკვირდება ბუნდესმანშაფტის კიდევ ერთი წაფორხილება „შავი კონტინენტის“ წარმომადგენლებთან – შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ევროპულმა გრანდმა ვერც განელებს სძლია – 2:2.

რაც შეეხება დიდიე დეშამპის შეგირდებს, ისინიც კარგა ხნის განმავლობაში ანერვიულებდნენ ქომაგებს და ნიგერიელებთან ბრძოლაში საწადელს მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე მიაღწიეს – 2:0 (პოგბა, იობო – საკუთარ კარში).

**გიორგი შოთაძე**

⊙ ჭადრაკი

# ქალთა ასეულში ათი ქართველია

**ფიდემ გამოაქვეყნა მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები, რომლებშიც 11 ქართველია. ქალთა კლასიფიკაციას სათავეში ტრადიციულად უნგრელი იუდით პოლგარი (2676) უდგას. შემდეგ მოდიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2613), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2561), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2542), ნანა ძაგნიძე (2541), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2540), სიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2538), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2533), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525).**



**ქართველ მანდილოსანთაგან პირველ ასეულში, ასევე, არიან:** 12. ბელა ხოტენაშვილი (2518), 27. ლელა ჯავახიშვილი (2474), 33. ნინო ხურციძე (2460), 38. სალომე მელია (2454), 56. ნინო ბაციაშვილი (2417), 64. მერი არაბიძე (2406), 67. სოფიკო გურამიშვილი (2402), 88. თამარ წერეთელი (2375), 92. მაია ლომინეიშვილი (2366).

ვაჟთა ასეულს ნორვეგიელი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (კლასიკურში, რაპიდსა და ბლიცში) მაგნუს კარლსენი (2877) მეწინავეობს. ათეულში არიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2805), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2795), ფაბიო კარუანა (იტალია, 2789), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2777), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2772), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2766). ბაადურ ჯობავა 2713 პუნქტით 36-ე ადგილზეა.

**ლექსო ცინცაძე**

⊙ სამბო

# ამაგი საერთაშორისო ტურნირით დაუფასეს

**მასპინძლებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ხუთი ქალაქისა და რაიონის, ასევე, სომეხი სამბისტები მონაწილეობდნენ საგარეჯოში გამართულ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში (მთავარი მსაჯი – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი), რომელიც ამაგდარი პედაგოგის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა.**

**წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ:**
ამირან დარბაისელი (48 კგ), ირაკლი კუპატაძე (52 კგ, ორივე – საგარეჯო), ივანე გაჩეჩილაძე (57 კგ, ზესტაფონი), სოლომონ თედიაშვილი (62 კგ, საგარეჯო), თორნიკე ჭოველიძე (68 კგ, აჭარა), ოთარ კაციაშვილი (74 კგ, საგარეჯო), შმაგი დადუნაშვილი (82 კგ, ვანი), ოთარ ლაბაძე (90 კგ), ფრიდონ შარიქაძე (100 კგ), გიორგი ლაზუაშვილი (+100 კგ, სამივე - ზესტაფონი).



ტურნირში იასპარეზეს საგარეჯოელმა გოგონებმაც, რომლებსაც ლუდმილა ფერაძე ავარჯიშებს. აქ წონების მიხედვით ყველას ლალი ხოსიტაშვილმა, მაია მეკოკიშვილმა, სალომე ბლიაძემ, თინანო რევაზიშვილმა, ნინო და ნელი გულისაშვილებმა აჯობეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოეს ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულმა, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ საღარაძემ, ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს თასის მფლობელმა ნოდარ მოდებაძემ, ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ კანკავამ, ვეტერან სამბისტებში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ანზორ ზურაბაულმა. 62 კილოში გამარჯვებულ საგარეჯოელ სოლომონ თედიაშვილს თავისი სახელობის თასი ბიჭიკო მარიდაშვილმა პირადად გადასცა.

ქართული ჭიდაობის ქომაგებმა იციან, რომ ბიჭიკო მარიდაშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია იმ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც ყოფილ საბჭოეთში სახელი გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას. იგი გახლდათ უნივერსალური ფალავანი – ერთნაირად ხელეწიფებოდა ქართული და თავისუფალი ჭიდაობების, სამბოს და ძიუდოს ფანდები. პირველ დიდ წარმატებას 1958 წელს მიაღწია კასპში გამართულ საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში: ბიჭიკო მარიდაშვილმა მაშინ გადამწყვეტი პაექრობა სამბოში საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ ლავრენტი კაციაშვილს მოუგო. გიორგიწმინდელი ჭაბუკი ჭიდაობის საიდუმლოებებს შალვა გზირიშვილთან ეზიარა. საგარეჯოში მისი თაობის მოჭიდავეები იყვნენ ანზორ ზურაბაული, მურთაზ ელერდაშვილი, ოთარ ოტიაშვილი, ილია ქვლივიძე, სპარტაკ ქარსაულიძე, ზაურ ქურხული და სხვები. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისას სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად მუშაობდა, ბავშვებს ავარჯიშებდა თავისუფალ ჭიდაობაში. 1963 წელს ამ სახეობაში საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა, ორჯერ ვერცხლის მედლები ერგო სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობებზე. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატებზე ორჯერ მეორე, ერთხელ კი მესამე ადგილი დაიკავა. პირად პირველობებში სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ბრინჯაოს პრიზიორი. არაობიექტური მსაჯობის გამო ორჯერ ჩემპიონობა დაკარგა. ქართულ ჭიდაობაში 12-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი აღზრდილები არიან: ახალგაზრდებში სსრკ ორგზის ჩემპიონი გია ხოსიტაშვილი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ლევან ბასილაშვილი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გოჩა მეკოკიშვილი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი რევაზიშვილი, სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი, ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით სვიმონიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში მამუკა კურდღელაშვილი და სხვები. ბიჭიკო მარიდაშვილის ინიციატივით საგარეჯოსა და სოფელ გიორგიწმინდაში აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზები. ღვაწლმოსილი, 75 წლის პედაგოგი დღესაც წარმატებით მუშაობს საგარეჯოს სპორტულ გაერთიანებაში თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად და ახალ ჩემპიონებს უფრთიანებს სამშობლოს.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ბიჭიკო მარიდაშვილი აჯილდოებს მისი სახელობის ტურნირის პრიზიორებს.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

⊙ ნიჩბოსნობა



# მცხეთელები – მსოფლიოზე

**გერმანიის ქალაქ ჰამბურგში 3-11 აგვისტოს ახალგაზრდა ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში ხუთი მცხეთელი სპორტსმენი იასპარეზებს: არჩილ ბაიაშვილი (ერთადგილიანი ნავით), ნოდარ მარტოლეკი, ფარნა კაპანაძე (ორიანი წყვილმოსასმელიანი) და ვასილ ჩარკვიანი, მიხეილ ვოლნისტი (ორიანი გასაშლელი).** ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფოთში აკადემიურ ნიჩბოსანთა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი გაიმართა და იქაური შედეგებით ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებიც დაკომპლექტდა.

**ერთადგილიანი ნავით. 2000 მ.** 1. არჩილ ბაიაშვილი, 2. გიორგი კანთელაძე (ორივე-ქუთაისი), 3. ნოდარ მარტოლეკი (მცხეთა).

**ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი. 2000 მ.** 1. ნოდარ მარტოლეკი, ცოტნე პირველაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი გელაზონია, გიორგი ერემაშვილი (ფოთი), 3. გიორგი კანდელაკი, გიორგი კოპალიანი (ქუთაისი).

**ორადგილიანი გასაშლელი. 1500 მ.** 1. ვასილ ჩარკვიანი, მიხეილ ვოლნისტი (მცხეთა), 2. ნიკა კლდიაშვილი, ბექა ლომაშვილი (ქუთაისი), 3. გიორგი გველესიანი, ზვიად ერქვანია (ფოთი).

ახალგაზრდული ნაკრების წევრები 21-დღიან საწვრთნელ შეკრებას სიონში გაივლიან და მერე გერმანიას გაემგზავრებიან.

**ლაშა დიდია**

⊙ ინტერნეტიდან

# ანასტასიამ კიდევ ერთხელ გაიხადა

**ტანკენარი რუსი ხელბურთელი ანასტასია არხოვაცკაია ერთხელ უკვე იყო რუსული „ფლეიბოის“თვის ლამაზმანად დასახელებული და ამ აღიარებისათვის რუს ასულს, რასაკვირველია, ფოტოკამერისა და, შესაბამისად, ათასობით მკითხველის წინაშე მკერდთა ციალი დასჭირდა.**



ანასტასიას, როგორც ჩანს, ნამეტანი მოეწონა ასეთი გზით მიღწეული პოპულარობა და რამდენიმე დღის წინათ მორიგ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. არხოვაცკაიამ ამჯერად ერთ-ერთი რუსული ბულვარული ჟურნალისთვის გაიძრო შესამოსელი.

მსოფლიოს სპორტში არსებული პურიტანული საზოგადოება ხშირად აკრიტიკებს სპორტსმენ ასულთა მხრიდან თამამი ფოტოების სიყვარულს და ამაზე ბევრი კრიტიკული სტატიაც იწერება, მაგრამ თუ ქალს გახდა უნდა, მორალისტი ადამიანები კი არა, ნატოს ჯარიც კი ვერ შეაჩერებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# ოპერის თეატრის სოლისტი-სტაჟიორები კონცერტს გამართავენ



**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი-სტაჟიორები და ორკესტრი 6 ივლისს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოკალური მუსიკის კონცერტს გამართავენ.**

იმღერებენ **ქეთევან გიორგაძე, ბელა კავთელიშვილი, მარიამ ტურაშვილი, მეგი ჩიხრაძე, ანი ცარციძე, ნანა ძიძიგური, ალექსანდრე დეკანოიძე, ალუდა თოდუა, გოდერძი ჯანელიძე.**

კონცერტში მონაწილე ახალგაზრდა მომღერლები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტ-სტაჟიორებად მიმდინარე წლის თებერვლიდან ირიცხებიან. ამ კონცერტის მეოხებით მათ საუკეთესო შანსი ეძლევათ საკუთარი შემოქმედებითი დონის, საშემსრულებლო შესაძლებლობების, სამომავლო პოტენციალის, კარიერული პერსპექტივის გამოსავლენად, როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო აუდიტორიის წინაშე. სოლისტი-სტაჟიორების კონცერტის გამართვა უპრეცედენტო შემთხვევაა, რომლის ინიციატორად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დავით კინწურაშვილი** მოგვევლინა.

ახალგაზრდა მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი **რევაზ ტაკიძის** დირიჟორობით.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია: შესრულდება არიები და სცენები მოცარტის, როსინის, დონიცეტის, ვერდის, გუნოს, ბოროდინის, დელიბის, რიმსკი-კორსაკოვის, პუჩინის, ჩილეას, ფალიაშვილის ოპერებიდან.



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თვალსაჩინო და ავტორიტეტული მუშაკი, ღირსეული მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, უმწიკვლოებით, საქმისადმი ერთგულებით, კომპეტენტურობით, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეული, მაღალი ზნეობის და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მატარებელი პიროვნება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობითი საკადრო კორპუსის პატრიარქი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი**

**ხუტა ჯიქია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**მზია თოდუა, თამარ თაფლაძე, დათი სოსელია, ქეთევან, ალეკო როგავები, ქეთი, ვალერი, მაქსიკო სტაბეცკები იუწყებიან**

**ჯენეტა ჯებაშვილის**

**გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პედაგოგის**

**ჯენეტა ჯებაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს თამარ და ნინო კაციტაძეებს**

**მამის**

**გარდაცვლების გამო.**

## რა არ ხდება ქვეყანაზე!

# ჩინური კალეიდოსკოპი

**კაცობრიობის არსებობის უმეტესი დროის მანძილზე ჩინეთი გარესამყაროსთვის დახურული, საკუთარ თავში ჩაკეტილი ქვეყანა იყო, თუმცა კი მისი სასწაულების ამბები სხვა ხალხებში ზღაპრებივით დადიოდა. ამ უზარმაზარ, უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანაში, რომელიც 21-ე საუკუნეში არნახული ტემპით ვითარდება, მართლაც უამრავი საოცრებაა, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერი“ ერთგვარ ნაკრებს გვთავაზობს.**



სადღეისოდ ჩინეთში, რომლის ტერიტორია 9 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია, მილიარდ 340 მილიონი კაცი ცხოვრობს; ოცი ყველაზე მდიდარი ჩინელის ქონება 145,1 მილიარდი დოლარია, რაც უნგრეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაზე მეტია; ჩინეთი მსოფლიოში ცემენტის უდიდესი მწარმოებელი ქვეყანაა, სადაც ამ საშენი მასალის 60 პროცენტს აწარმოებენ და მოიხმარენ. მარტო ორ წელიწადში ქვეყანამ იმდენი ცემენტი აწარმოვა, რამდენიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში დამზადდა; მისი ბუნებრივი გაზის მარაგი მილიარდ 240 მილიონი ოლიმპიური საცურაო აუზის მოცულობის ტოლია და 109,3 ტრილიონ კუბურ ფუტს უდრის. ამ ენერგოშემცველის მარაგის მოცულობით იგი მსოფლიოში მე-13 ადგილზეა; 115 მილიარდი ტონა ქვანახშირის მარაგით ქვეყანა მსოფლიოში მე-3 ადგილს იკავებს. ეს კი დედამიწაზე ყველაზე დიდი ცხოველის, 575 მილიონი ლურჯი ვეშაპის წონის ტოლია; ჩინეთის რკინიგზის მთლიანი სიგრძე 93 ათასი კილომეტრია, რაც პლანეტის ეკვატორზე, რომლის სიგრძე 40 075 კილომეტრია, ორზე მეტჯერ მეტია; ყოველწლიურად ჩინელები 5200 ეიფელის კოშკის წონის ღორის ხორცს მიირთმევენ, რომელიც 10 ათასი ტონას იწონის: მსოფლიოს ღორების ნახევარი ჩინეთშია, რომლის მოსახლეობა მისი ხორცის ყველაზე დიდი მომხმარებელია. ამჟამად მათი რიცხოვნობა 475 მილიონი სულია; ჩინეთის კვების მრეწველობას დედამიწის მოსახლეობის მეოთხედის უზრუნველყოფა შეუძლია, თუმცა კი, ქვეყანაში სახნავი მიწების ოდენობა მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 7 პროცენტია; მოსახლეობის მოხმარების ხარჯი, 2010 წელთან შედარებით, 2020 წლისათვის იქ სამჯერ, კერძოდ, 2,3 ტრილიონ დოლარიდან 6,18 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება; 30 მილიონზე მეტი ჩინელი დღესდღეობითაც გამოქვაბულში ცხოვრობს – ეს გაცილებით მეტია, ვიდრე საუდის არაბეთის მოსხალეობაა; საჭმელი ჩხირების საწარმოებლად ქვეყანაში ყოველწლიურად 20 მილიონი ხე იჩეხება, რომელიც 20 წელზე მეტი ასაკისაა. წელიწადში ჩინელები 80 მილიარდ ერთჯერადი მოხმარების ჩხირებს იყენებენ; თამბაქოს მოწევა ყოველწლიურად მილიონ ჩინელს კლავს, რაც კვიპროსის მოსახლეობას აჭარბებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტების პროგნოზით, 2050 წლისთვის მოწევისგან იქ 3 მილიონი კაცი დაიღუპება; წლის განმავლობაში ქვეყანაში დაახლოებით 8 მილიარდი წყვილი წინდა იქსოვება, რა ოდენობაც დედამიწის მთელ დანარჩენ მოსახლეობას ეყოფოდა; ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით თვითმკვლელობათა რიცხვი ჩინეთში ორჯერ მეტია; ცისქვეშეთს მხოლოდ ერთი სასაათო სარტყელი აქვს, მთელი ქვეყანა პეკინის სტანდარტული დროით ცხოვრობს. 1949 წლამდე ჩინეთში ხუთი სასაათო სარტყელი იყო, თუმცა, მერე მაო ცზედუნმა, ქვეყნის გაერთიანების მიზნით, მხოლოდ ერთი დრო დააწესა. ამჟამად ქვეყნის ზოგიერთ მხარეში მზე დილის 10 საათზე ამოდის.

## ინფორმაცია

# კახეთში „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 2 ჯიხვი მოკლეს

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფელ მსხალგორში უკანონო ნადირობის დროს მოკლული 2 ჯიხვი იპოვეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, დაღესტნური ჯიხვი საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. გარემოზე მიყენებულმა ზარალმა 130.000 ლარი შეადგინა.**

**სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამრღვევებს უკანონო ნადირობისას გამოყენებული იარაღები და 30 კილოგრამამდე ოდენობის ჯიხვის ხორცი ჩამოერთვათ. ვინაიდან, აღნიშნული ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა.**

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

# ნუ გადაამლაშებ!

**მოვისმინე, რომ მარილი რაციონში უნდა შევამციროთ. რამდენი მარილი შეიძლება მივიღოთ დღეში ისე, რომ ჯანმრთელობას ზიანი არ მივაყენოთ? შეეხება ეს იოდიზირებული მარილის შეზღუდვას?**

**გიორგი, მესტია**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ხერხეულიძე:**



– ჩვენ, ქართველები ისე, ალბათ, როგორც ბევრი სხვა ერი, ბავშვობიდანვე შეჩვეულები ვართ და არც წარმოგვიდგენია სუფრა მჟავეულის გარეშე. რას ვაკეთებთ, როდესაც წინ თეფშით წვნიანი გვიდგას? დიახ, ასეა: ხშირად არც ვსინჯავთ, ხელი მარილისაკენ გაგვირბის. ვჭამთ დაახლოებით 10 გრამ სუფრის მარილს დღეში. მისაღები ნორმა კი – 6 გრამია, ან ერთი ჩაის კოვზი დღეში. ეს მაქსიმუმია ჯანმრთელი ადამიანისთვის, ვისაც სურს, ასეთივე ჯანმრთელი დარჩეს.

ხოლო თუ თქვენი ასაკი 51 და მეტი წელია, გაქვთ მაღალი წნევა, დიაბეტი, თირკმელების, გულისა და სისხლძარღვების დაავადებანი, თქვენვთის არ შეიძლება 4 გრამზე მეტი მარილი დღეში. ეს სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვენი თანამემამულენი შეეჩვივნენ, რომ ჩაიყარონ თეფშში. მაგრამ სინამდვილეში სიტუაცია კიდევ უარესია! საქმე ისაა, რომ მარილის 80 პროცენტს ჩვენ ვღებულობთ პროდუქტებთან ერთად. და არსებითად სამარილიდან ამოღებული მარილი არ უნდა აჭარბებდეს ერთ გრამს. საერთოდ დროა, დავფიქრდეთ, გვერდზე გადავდოთ სამარილე და შევხედოთ, თუ რას ვჭამთ. მარილი პროდუქტებში ისედაც უხვადაა, მათ შორის იოდიზირებულიც.

# დიეტით უნდა დავიწყოთ

**ექიმმა მითხრა, რომ სისხლში მავნე ქოლესტერინის მაღალი დონე მაქვს. რა დიეტა მჭირდება, რომ თავიდან ავიცილო ათეროსკლეროზი?**

**მარინე, სამტრედია**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ბერიძე.**



– ქოლესტერინი ორგანიზმისთვის მეტად აუცილებელია – მისგან წარმოიქმნება ძირითადი ჰორმონები. ამ დროს მისი სიჭარბე – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფაქტორია. ქოლესტერინის 80 პროცენტს ჩვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს და მხოლოდ 20 პროცენტი შემოდის საკვებთან ერთად. და, მიუხედავად ამისა, მავნე ქოლესტერინის დონის კორექცია ყოველთვის დიეტით უნდა დავიწყოთ. ექიმები გვირჩევენ, შევზღუდოთ საერთო კალორიულობა, მოვიხმაროთ არანაკლებ 500 გრამი ბოსტნეულისა და 500 გრამი ხილისა დღეში, რძის პროდუქტები – ოღონდ გაუცხიმოვნებული, ვჭამოთ ხორცი კვირაში არაუმეტეს 2-3-ჯერ და სრულიად ვთქვათ უარი ძეხვეულზე, მისი კომპენსირება ზღვის თევზით მოვახდინოთ. მაგრამ თუ ამ დროს ქოლესტერინი მაღალი რჩება – აუცილებელია დავიწყოთ წამლების მიღება.

## ავტომფლობელთა საყურადღებოდ!

# სიახლე სანომრე ნიშნებში, ანუ იმარიაჟეთ მძღოლებო!

**შსს-ს მომსახურების სააგენტომ სატრანსპორტო საშუალებათა ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების საფასური განსაზღვრა და შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტს მიმართა. მომსახურების სააგენტოს მიერ მომზადებული პროექტის გათვალისწინებით, უცვლელი რჩება სახელმწიფო სანომრე ნიშნის აღებისათვის, ასევე დაკარგული ან დაზიანებული სანომრე ნიშნების აღდგენისთვის განსაზღვრული საფასური და კვლავ 35 ლარს შეადგენს. თუმცა, მძღოლებს, რომლებიც უპირატესობას ე.წ. პრესტიჟულ ნომრებს ანიჭებენ, ასეთი სანომრე ნიშნების შეძენა უფრო ძვირი დაუჯდებათ, ვიდრე აქამდე არსებული დიზაინის პრესტიჟული ნომრებისთვის იხდიდნენ.** მაგალითად, დღეს მოქმედი კანონის გათვალისწინებით, სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო ერთნაირია, ხოლო ციფრების კომბინაციაა – 111-დან 999-ის ჩათვლით (მაგ: BBB-333), 800 ლარი ღირს. ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების შემთხვევაში კი, როცა სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, იდენტური ციფრებით (მაგ: BB-333-BB) ფასი 1000 ლარი იქნება. ასევე დღეს 400 ლარი




**ღირს სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაცია იცვლება 100-დან 900-ის ჩათვლით (მაგ: NNN-400), პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით კი, სანომრე ნიშანი, მაგ: NN-400-NN, 600 ეღირება.**

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, „პრესტიჟული“ ნომრების საფასურები შემდეგნაირად განისაზღვრა:

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: AA-111-AA) – 1000 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: BB-002-BB) – 800 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: CC-300-CC) – 600 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ სამია იდენტური, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: GT-444-TT) – 800 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: YU-005-YY) – 600 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: WW-600-PW) – 400 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოს კომბინაცია შედგება სერიაში იდენტური წყვილის მქონე, ორი არაიდენტური ლათინური ასოსგან, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: SO-777-SO) – 800 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: NN-008-MM) – 600 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: DF-900-FD) – 400 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ ორია იდენტური, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: RR-111-PO) – 700 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: TU-002-kU) – 500 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: EI-300-LL) – 300 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო არაიდენტურია, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: NJ-444-HZ) – 250 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: VX-05-MW) – 200 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: QR-600-FD) – 150 ლარი;

**კვლავ 10-ათასი ლარი ეღირება სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტი პირისათვის სასურველ ასოთა ან ციფრთა კომბინაციისაგან შედგება – მაგალითად, GEORGI 1;**

არსებულთან შედარებით, ზოგიერთ შემთხვევაში, 50-100 ლარის ფარგლებში მეტი იქნება ავტომობილის ისეთი რეგისტრაციო ნომრები, რომლის სერია და ნომერი პირის სურვილით შერჩეული ლათინური ასოებისა და ციფრების კომბინაციით არის შედგენილი. კერძოდ, პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, ისეთ შემთხვევაში, **თუ სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: DD-707-DD) საფასური 450 ლარია** (დღეს არსებული დიზაინის შესაბამისად, პირის სურვილისამებრ შედგენილი ასეთი ტიპის სანომრე ნიშანი 350 ლარი ღირს); ასევე პირის სურვილის გათვალისწინებით შერჩეულ ლათინურ ასოთა და ციფრთა კომბინაციით, თუ სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ სამია იდენტური, ხოლო **ნომერი სამი ციფრის კომბინაციისგან შედგება, ის 350 ლარი ეღირება (მაგ: FF-050-FF); ასეთი შემთხვევებისას, ასევე 350 ლარით განისაზღვრა ისეთი ნომრების საფასური, როცა სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოს კომბინაცია შედგება სერიაში იდენტური წყვილის მქონე, ორი არაიდენტური ლათინური ასოსგან, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: DF-080-FD); გარდა ამისა, თუ სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ ორია იდენტური, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: DD-305-FS) ეღირება 300 ლარი, ხოლო თუ სერიის შემადგენელი ოთხივე ლათუნური ასო არაიდენტურია, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: DX-040-WQ), მისი საფასური იქნება 250 ლარი.**

**საკანონმდებლო ცვლილებები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.**

## ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო“ უებარი წამალია



**„სალხინო“** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

**„სალხინო“** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში“** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
www.salkhino.ge

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 ( აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
**299-62-77; 568 82-09-84..**

## ცინცხალი ანეკდოტები

**– ძვირფასო, როგორც კი ცოლად გამოგყვები, სამი შვილი გვეყოლება.**

**– რა იცი?**

**– როგორ თუ რა ვიცი. ისინი ახლა დედაჩემთან ცხოვრობენ.**

* * *



**რუსთავში გამოჩნდა „ქათამი“, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის შედეგებს წინასწარმეტყველებს.** **იქაური კოლონიის უფროსმა უარი განაცხადა ამ ფაქტის კომენტირებაზე.**

* * *

**– მიხო! ადექი... მაღვიძარამ დარეკა!**

**– აჯანჯღარებს ქმარს ცოლი.**

**– მერე რაო, რა მინდაო? – ბურტყუნებს ძილბურანში მიხო.**

* * *

**დღევანდელ მსოფლიოში არის მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომელიც იცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებს მხოლოდ სხვის ტერიტორიაზე...**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24